# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 3 თებერვალი, 2010 წელი.

№20 (6386)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ბიზნესი თუ გაგეზარდა - შარია,



არა, ქვეყანა უნდა დაავაქციო, ხალხი დაავაშინო, სიღატაკესა და სიბეჩავეს ვწიო (თუ უკვე არა სწია), თანაც ვიტრაბახო და ვიბაქიბუქო. მსოფლიომ უნდა გაიგოს (თუ ჯერ არ გაუგია), რომ საქართველო არის მთელ დუნიაზე პირველი დემოკრატი სახელმწიფო, პირველი რეფორმატორი და პირველი ბიზნესმენი!!!

ვისი ხელწერაა, არ გეცნოთ?!

7

## თუ შეგიმცირდა - კიდევ უარესი!..



3

## ჯონდი კი იმედოვნებს, მაგრამ...

## რუსული გაკვეთილი და ქართველი მინისტრის მძაფრი ემოცია

2

## სად გადის ზღვარი გენოციდსა და გენაცვალეს შორის?

3

## ქართველი ემიგრანტი: მატარებლის გატაცება სასოწარკვეთილებამ გადაგვაწყვეტინა!



4

## მიხეილ ანთაძემ თეატრში ოჯახური ბიზნესი მოაწყო?..

## დეპუტატი თავისი ხახის მსახურია

6



## ქართული რევოლუციის ვარდის დამჭკნარი ფურცლები

8

## საპარლამენტო რესპუბლიკა, ანუ რატომ სურთ ქართველებს საქართველოში „მოლდოვას გასაჭირი“?

4



## ცუნდრუქთა, უსჯულოთა და უმეცრად უსამართლოთა გამო...

5

ანუ დაგვიბრუნეთ საქართველო

## აუცილებელია თუ არა არჩევნებში მონაწილეობა?

3

**მიმართვა**

# შემობრუნდით ადამიანთა რეალური პრობლემებისკენ!

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, გაეროს**

უკანასკნელ წლებში სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ევროპაში ადამიანის უფლებების ფუნდამენტალიზაციის პროცესი. სამყარო, რომელშიც ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი იღუპება საკვების, სასმელი წყლისა და ელემენტარული სამედიცინო დახმარების არქონის გამო, უცნაური ჟინით ცდილობს სულ უფრო და უფრო ეგზოტიკური ჯგუფების ისეთ უფლებათა დასაცავად, რომელსაც ეს გარდაცვლილი და მილიონობით ჯერ-ჯერობით ცოცხალი ადამიანი სრულიად მოკლებულია. სამყაროში, სადაც მილიონობით ადამიანი საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან არის აყრილი ომების, სტიქიური უბედურების, ელემენტარული შიმშილის და უამრავი სხვა მიზეზის გამო, ევროპის სოციალისტებმა ყველაზე დაუცველ ჯგუფად სექსუალური ნიშნით დისკრიმინირებულნი გამოყვეს.

განსაკუთრებული ცინიზმი ის არის, რომ აღნიშნული კანონპროექტი სწორედ იმ დღეებში განიხილება, როდესაც თითქმის ნახევარი მილიონი ადამიანი წუთების განმავლობაში იმსხვერპლა მიწისძვრამ ჰაიტიზე.

საქართველოში აღარ უკვირთ, რომ ევროპა ადამიანის უფლებათა დარღვევებს მხოლოდ მაშინ ხედავს, როცა ეს მისი „ბირთვი ქვეყნების" პოლიტიკურ ინტერესებს ემთხვევა, ხოლო სამართლიანობის აღდგენის გზად დაზარალებულისთვის (ხშირად კი მოკლულის მემკვიდრეებისთვის) სახელმწიფოსაგან წლების დაგვიანებით ფულადი თანხის გადახდას აღიარებს. აღარც ის აკვირვებთ, რომ სიტყვის გამოხატვის, მიტინგებისა და თვით სიცოცხლის უფლებაც კი საქართველოში როდია. ამ უფლებებზე ხმამაღლა საუბრობენ მაშინ, როცა რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევაა გასამართლებელი (როგორც ერაყში ყბადაღებული მასობრივი განადგურების იარაღის მოტივით შეჭრა ან „ფერადი რევოლუციებისთვის" სასურველი პოლიტიკური ფონის შექმნა).

იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად ერთადერთი გზა რჩება – რომელიმე უმცირესობაში გაერთიანება. თუმცა იქ, სადაც საზოგადოების უმცირესობა იმასაც კი ახერხებს, რომ არჩევნების გაყალბებისა და სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებას ისაკუთრებს, ალბათ რომელიმე სახის უმრავლესობაზე საუბარი აბსურდს ემსგავსება.

ითვლება, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია და ამიტომ მათი უფლებების დაცვით თავს არც საქართველოში იწუხებს ვინმე და არც ევროპას აინტერესებს მათი სატკივარი. ჩვენი (ისევე როგორც ყველა ტრადიციული რელიგიის მიმდევართა) რწმენა არ ებრძვის ცოდვილს, მაგრამ ვერ გაამართლებს თავად ცოდვას.

ჰომოსექსუალიზმი ცოდვად მიიჩნევა როგორც მართლმადიდებლების, ისე კათოლიკეთა, იუდეველთა, მუსლიმთა, გრიგორიანთა მიერ. ცოდვის გამართლება და წახალისება, რისი ტენდენციაც აშკარად შეიმჩნევა არა მარტო ამ ახალ კანონპროექტში, არამედ ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ ადრინდელ დოკუმენტებში, მიუღებელია ჩვენი მრწამსისთვის და ჩვენი გრძნობების შეურაცხყოფაა. ამ და სხვა მიზეზების გამო გადავწყვიტეთ დავაფუძნოთ სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა. მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია ადამიანის დისკრიმინაცია, მისი ღირსების ფეხქვეშ გათელვა, მიუხედავად იმისა, იგი უმრავლესობაშია თუ უმცირესობაში, ძველ სამყაროს წარმოადგენს თუ ახალ ევროპას, ღარიბ ქვეყანაში ცხოვრობს თუ კოლონიებიდან გატანილი დოვლათით შეიქმნა კეთილდღეობა.

მოგიწოდებთ, შემობრუნდეთ ადამიანების რეალური პრობლემებისაკენ და მათი უფლებების დაცვის ადეკვატურ ზომებს მიმართოთ.

*სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის სახელით:*

**მთავარი კომიტეტი – მალხაზ გულაშვილი** – სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის თავმჯდომარე, მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" პრეზიდენტი, კავკასიაში კრიზისის შედეგების დაძლევის შერეული ქართულ-რუსული კომისიის თავმჯდომარე, სტრატეგიულ კვლევათა და მოდელირების ცენტრ „აზრის" პრეზიდენტი; **მამუკა გიორგაძე** – სახალხო პარტიის ლიდერი; **ნანა დევდარიანი** – ექსომბუდსმენი, პოლიტოლოგი, ჟურნალისტი; **ელიზბარ ჯაველიძე** – საქართველოს უხუცესთა დარბაზის თავმჯდომარე; **ლევან ჩაჩუა** – მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი; **ირაკლი კორძაია** – ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე; **შოთა აფხაიძე** – ერთიანი ახალგაზრდული მოძრაობა „წინ"; **ჯიმი ჯალიაშვილი** – ექსპერტი, პოლიტოლოგი, დოქტორი; **გოგი ბალათურია** – დოქტორი; **სოსო ჯაჭვლიანი** – რეჟისორი, „ქართული ფილმის" პრეზიდენტი; **რეზო ამაშუკელი** – პოეტი.

**ვიდეოხიდი**

# რუსული გაკვეთილი და ქართველი მინისტრის მძაფრი ემოცია

## სად გადის ზღვარი გენოციდსა და გენაცვალეს შორის?

**როგორ აპირებთ ქართველები ოსებთან და აფხაზებთან საერთო ენის გამონახვას, როცა ისინი გენოციდში გდებენ ბრალს? – ასეთი კითხვა დაუსვა რუსმა ჟურნალისტმა „რია-ნოვოსტის" მოსკოვის ოფისიდან თბილისის სააგენტოში მისულ სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილს. „გონებამახვილი" მინისტრი არ დაიბნა და ენამოსწრებულად უპასუხა – გენოციდსა და გენაცვალეს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, და მათ შორის ზღვარის გავლება უნდა ისწავლოთო.**

ძალიან ბევრი შეგონება, დირექტივა, შენიშვნა თუ ურთიერთბრალდება ისმოდა თბილისსა და მოსკოვს შორის გამართული ვიდეოხიდის დროს, რომელსაც საქართველოდან მხოლოდ სახელმწიფო მინისტრი, ხოლო რუსეთიდან ორი ექსპერტი ესწრებოდა: ალექსი ვლასოვი, პოსტსაბჭოთა სივრცის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის გენდირექტორი და ფელიქს სტანევსკი, რუსეთის ელჩი საქართველოში 1996-2000 წლებში.

დებატები მართლაც რომ საინტერესოდ წარიმართა, რადგან ორივე ქვეყნის წარმომადგენლების პოზიცია ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა.

**თემურ იაკობაშვილმა** საუბარი იმ სტრატეგიაზე დაიწყო, რომელიც საქართველოს მთავრობამ 27 იანვარს განიხილა და მოიწონა. ის შეეხება აფხაზეთსა და ოსეთთან მიმართებაში საქართველოს სამოქმედო გეგმას, რომელიც ძირითადად სახალხო დიპლომატიას ეფუძნება და მშვიდობიან თანამშრომლობას ითვალისწინებს. მართალია, სტრატეგია უფრო შიდამოხმარებისთვის არის, თუმცა საერთაშორისო რეზონანსი უკვე მოჰყვა და მოიწონეს კიდეც... ოღონდ არა რუსებმა.

**ფელიქს სტანევსკი** მიიჩნევს, რომ ქართველებმა სულ მცირე 15 წლით მაინც დააგვიანეს სტრატეგიის შემუშავება. ამის შესახებ მაშინ უნდა გეფიქრათ, როცა აფხაზეთთან ომი დამთავრდა, მაგრამ მაშინ მშვიდობაზე კი არა, კონფ-



ლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტაზე ფიქრობდითო. **ალექსი ვლასოვის** აზრით, ქართველებსა და ოსებს შორის ადვილად შეიძლებოდა ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა, რასაც ცხინვალთან არსებული ერგნეთის ბაზრობა უწყობდა ხელს, მაგრამ ის შეგნებულად მოიშალა. ქართველები მხოლოდ თავდასხმაზე ფიქრობდით, რაც განხორციელდა კიდეც 2008 წელს. და თუ ეს ასე არ იყო, მაშინ რატომ ბომბავდით საკუთარ მოსახლეობასო?! ორივე რუსი ექსპერტი „გულწრფელად" დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ სტრატეგია ამერიკელების მიწოდებული იდეაა და ქართველები ამას კიდევ დიდხანს ვერ მოიფიქრებდნენ. რუსებისთვის სტრატეგია მოსაწონია, რადგან თურმე ის მოსწონს მათთვის ისეთ ანგარიშგასაწევ ქართველ ექსპერტს, როგორიც მამუკა არეშიძეა. მოსწონთ



ისიც, რომ ქართველები ვცდილობთ ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობების აღდგენას ოსებთან და აფხაზებთან, ეს პროექტი იმუშავებს, თუ თქვენ მას არ გამოიყენებთ რუსეთის ჯიბრზე და ანგარიშსაგებადო, – აღნიშნეს ვლასოვმა და სტანევსკიმ.

ბუნებრივია, რუსი ექსპერტების ასეთ ტონს „ვერ აიტანდა" ქართველი მინისტრი, რომელმაც პირში მიახალა, **„თქვენ, რუსები, ყოველთვის გვიკარნახებთ იმას, თუ რა უნდა ვაკეთოთ ქართველებმა, ოსებმა და აფხაზებმა, მაგრამ აზრს არასოდეს გვეკითხებითო"**, რაზეც სტანევსკიმ უპასუხა, რომ ეს ორი ექსპერტის პირადი აზრია და არა ვალდებულება. **„ორი წლის წინათ მეც ასე გამოვთქვამდი საკუთარ აზრს, როგორც ექსპერტი, მაგრამ დღეს სახელმწიფო პოლიტიკას ვქმნიო!"** – არ დაიბნა თემურ იაკობაშვილი.

მინისტრი შეტევაზე გადავიდა და აღნიშნა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მხოლოდ ქაღალდზე არიან დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ისიც მხოლოდ რუსეთისთვის. თქვენს აზრს ისეთი ქვეყნები იზიარებენ, როგორიც არის ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ; რთული წარმოსადგენია, როგორი იქნება რუსეთის სტრატეგია ამ სუბიექტებთან მიმართებაში, მოსკოვს ალბათ, მოუწევს „ამ მწარე ხუმრობის" გამოსწორებაო.

ექსპერტებმა უპასუხეს, რომ ორივე რესპუბლიკა დამოუკიდებელია რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების დღიდან. მათი თქმით, რაც ხდება ჟენევის მოლაპარაკებებზე, მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ საკითხებს შეეხება. ქართველების სტრატეგიის საფარველქვეშ კი იგულისხმება ქართული მხარის ზრახვა ცეცხლის განახლების შესახებ, ამიტომ ქართველთა სამშვიდობო ინიციატივები სრულებითაც არ არის სანდო.

იაკობაშვილმა აღნიშნა, რომ **„ჟენევის მოლაპარაკებებზე ჩვენ ვაყენებთ დევნილების უპირობო დაბრუნების საკითხს. ჩვენი სტრატეგია შეეხება უბრალო ადამიანებს, მათი ყოველდღიური ყოფის გაუმჯობესებას და არა პოლიტიკას. ივლისამდე სამოქმედო გეგმა წარედგინება საზოგადოებას, რათა ის არ დარჩეს პარ-**

**აქციად. რუსეთს შეუძლია სტრატეგია დაგვიანებულად მიიჩნიოს, მაგრამ თუ მხარს არ დაუჭერს, ხელი მაინც არ შეუშალოს. საქართველოში ნამდვილად არის ანტირუსეთული განწყობა, მაგრამ არა – ანტირუსული".**

ამ აზრს სტანევსკი შეეწინააღმდეგა, მისი აზრით, საქართველოში არის ანტირუსული განწყობა და ამის საილუსტრაციოდ ედუარდ შევარდნაძის ბოლოდროინდელი გამონათქვამები გაიხსენა. ხოლო იმის დასტურად, რომ საქართველოში საომარი განწყობაა, ახსენა ცეცხლის განუახლებლობის შესახებ დოკუმენტი, რომელსაც ქართული მხარე ხელს არ აწერს. ეს ხელმოწერა დაადასტურებდა მშვიდობისთვის მზაობას, მაგრამ სანამ ეს საკითხი ღია რჩება, მუდმივად იარსებებს ომის საფრთხე, დასძინა ექსპერტმა.

**საქართველო ომისთვის არ ემზადება და საერთოდაც ამის განწყობა სულაც არა გვაქვს,** – უპასუხა ქართველმა მინისტრმა, – **ჩვენ ნამდვილად არ მოგვწონს ის, რასაც რუსეთი აკეთებს: ჩვენი ტერიტორები ოკუპირებულია (სხვათა შორის მე იმ ბორჯომიდან ვარ, რომელსაც რუსული ავიაცია ბომბავდა), რუსი ჯარისკაცები თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში დგანან, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი აყრილია საკუთარი საცხოვრებლიდან, დაკეტილია ჩვენთვის რუსეთის ბაზარი, აკრძალულია თავისუფალი მიმოსვლა...**

**ექვსჯერ ჩაიშალა შეთანხმებაზე ხელმოწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ოსებთან და აფხაზებთან, 18 წელი იდგნენ საქართველოს საზღვრებზე რუსეთის ვითომ მშვიდობისმყოფელები და ვერც ერთხელ ვერ უზრუნველყვეს მშვიდობა.**

**ქართველებს სულაც არ გვინდა არეული კავკასია და მეორე პანკისი. მაგრამ ის, რასაც რუსეთი აკეთებს კავკასიაში, ამას არ ჰქვია სახელმწიფო პოლიტიკა. რაში გვჭირდება ქართველებს ახალი „თავის ტკივილი", ჩვენ მშვიდობიანი კავკასია გვინდა,** – აღნიშნა მინისტრმა.

ფელიქს სტანევსკიმ იაკობაშვილის გამოსვლას ემოციური უწოდა, თუმცა არც მის პასუხს აკლდა ემოცია. რუსი ექსპერტების მტკიცებით, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, აფხაზეთი და ოსები დამოუკიდებლები არიან. ადრე თუ გვიან რუსულ-ქართული ურთიერთობები მოგვარდება. რაც შეეხება რეგიონს, აქ რა მოხდება, ეს თემა დროს უნდა მივანდოთ. აშკარაა, რომ ჩვენი შეხვედრებისას ერთმანეთისთვის აზრის შეცვლას ვცდილობთ და თანხმობა არასოდეს მიიღწევა, – დასძინა მან.

**„რია ნოვოსტში" შემდგარი ვიდეოხიდით, შეიძლება იმის წარმოდგენაც, თუ რა ხდება იმ მაგიდასთან, სადაც ქართველები და რუსები სხედან და კონფლიქტის მოგვარების გზებს ეძებენ. ის რუსები და ქართველები, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიან, ჯერჯერობით აბსოლუტურად სხვადასხვა ნაპირზე დგანან და ზღვაში შეცურვას არც ერთი ფიქრობს და არც მეორე. მოკლედ, კონსენსუსი ჭირს...**

**თეა მოსია**

*მურად ალაშვილის ფოტო.*

**რეფორმა განათლების სისტემაში**

# კიდევ ერთი ახალი პროგრამა

**ინკლუზიური განათლების დანერგვისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, პირველი თებერვლიდან განათლების სისტემაში რეფორმირების ახალი ეტაპი დაიწყო.**

1 მარტიდან 5-დან და 17-წლამდე ასაკის ბავშვთა ნებაყოფლობითი რეგისტრაცია მოხდება. დაინტერესებულ მშობლებს განცხადების წარდგენა საცხოვრებელი სახლიდან ახლომდებარე რესურსცენტრებში შეუძლიათ.

აღრიცხვაზე აყვანილ ბავშვებს რეკომენდაციის საფუძველზე შეურჩევენ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამას. მათთან იმუშავებენ ფსიქოლოგები, თერაპევტები და სხვა სპეციალისტები.

„დღეს ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას ვიწყებთ. საქართველოში არიან ბავშვები, რომელთაც სჭირდებათ სპეციალური ინკლუზიური განათლება და ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას. ამ დროისთვის ქვეყნის მასშტაბით უკვე რეგისტრირებულია 10 ათასი მოზარდი, რომელიც ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობს", – აღნიშნა განათლების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა.

**თინათინ გორცვაძე**

◎ „უხუცესთა დარბაზის“ მიმართვა




# აუცილებელია თუ არა არჩევნებში მონაწილეობა?

**„უხუცესთა დარბაზმა“ საგანგებო პრეს-კონფერენცია გამართა და წარმომადგენლობითი ეროვნული კრების მოწვევა მოითხოვა. პრესკონფერენციაზე გაფართოებული ეროვნული კრების სამოქმედო გეგმების შესახებ იმსჯელეს.**

**ელიზბარ ჯაველიძე, „უხუცესთა დარბაზის“ ერთ-ერთი წევრი:**

„საქართველოში შექმნილმა უკიდურესად მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ გვაიძულა თქვენთვის — მოსახლეობისთვის მოგვემართა.

რადგან ერისა და ქვეყნის სიყვარული, ქართული ფასეულობების, ჩვენი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და მომავლის საკითხი თითოეული ჩვენგანის საზრუნავი და ტკივილია, გვეყოფა უთანხმოება, მოვიდა დრო თანხმობის, სიყვარულისა და აღმშენებლობისა“.

უხუცესებმა მოუწოდეს საქართველოს ყველა მოქალაქეს, გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და გამოხატონ კეთილი ნება წარმომადგენლობითი ეროვნული კრების თაობაზე.

„უხუცესთა დარბაზის“ კარი ყველასთვის ღიაა, ჩვენ გვწამს, რომ ხალხი თავის კონსტიტუციურ, კანონიერ უფლებებს სწორედ წარმომადგენლობითი ეროვნული კრების საშუალებით მოიპოვებს. ეროვნული კრება კატეგორიულად გამორიცხავს პოლიტიკაში ჩარევას“, — აღნიშნა ელიზბარ ჯაველიძემ.

„უხუცესთა დარბაზის“ წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომადგენლობითი ეროვნული კრების მოწვევას, თუმცა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოხატეს 30 მაისს, თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით... ზოგნი საუბრობენ, რომ არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ, ზოგნიც ბოიკოტს გამორიცხავენ, რადგან ასე დიდი შანსია არჩევნების გასაყალბებლად.

„უხუცესთა დარბაზის“ წარმომადგენლების უმეტესობა მიიჩნევს, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი ხმების დასაცავად.

**თინათინ ბორცვაძე.**

მურად ალაშვილის ფოტო.

◎ აქცია

# ჯონდი კი იმედოვნებს, მაგრამ

**პენსიებთან დაკავშირებით „ქართულმა დასმა“ ორი საკანონმდებლო ინიციატივა შეიმუშავა, ერთი — ყველასთვის ცნობილი პენსიის 150 ლარამდე გაზრდა და მეორე — ყველა მოხუცებულის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.** ამ ინიციატივის მხარდასაჭერად პარლამენტის წინ „ქართული დასის“ წევრები და პენსიონერები შეიკრიბნენ. ჯონდი ბაღათურიამ აქციაზე განაცხადა, რომ ორივე კანონპროექტი პარლამენტში მალე დარეგისტრირდება. „ამ ინიციატივასთან დაკავშირებით ჩვენ ხელმოწერებს ვაგროვებთ, რათა ეს კანონი პირველივე მოსმენით დამტკიცდეს და პრობლემები არ შეიქმნას. ამ კანონპროექტის განხორციელებისთვის ბიუჯეტიდან 500 მილიონი ლარის გამოყოფაა საჭირო, თუმცა როცა ქვეყნის ბიუჯეტი 6 მილიარდს შეადგენს, ეს თანხა მასთან შედარებით არაფერია, მით უმეტეს როცა საქმე ასეთ მნიშვნელოვან საკითხს ეხება“; — განმარტა „ქართული დასის“ ლიდერმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თანხის გამოყოფას ჯონდი ბაღათურია ბიუჯეტიდან საარჩევნოდ გამოყოფილი თანხის შეკვეცის ხარჯზე ითხოვს. ბაღათურიას განცხადებით, იგი უკვე გეგმავს შეხვედრებს პარლამენტში ფრაქციების წარმომადგენლებთან, რათა კანონპროექტის განხილვა დაჩქარდეს და პირველივე მოსმენაზე მიიღონ. აქციაზე მხარდასაჭერად მისული პენსიონერების მხარდამჭერ ხელმოწერებს აგროვებდნენ „ქართული დასის“ წევრები, მათი განმარტებით საქართველოში სულ 832 000 პენსიონერია და ყველას უნდა შეექმნას რეალობა იმისა, რომ პენსია 150 ლარი ექნებათ, აქვე აღნიშნეს, რომ თუ კანონპროექტის განხილვა დაჩქარებით მოხდა, პენსიონერი უკვე მარტის შუა რიცხვებში მაინც აიღებს 150 ლარს. ჯონდი ბაღათურია კი იმედოვნებს, რომ ასე იქნება, რადგან თითოეული დეპუტატის იმედი აქვს.

**ხატია მუსერიძე.**

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.



◎ რა გვეშველება?

***ოფიციალური** ინფორმაციით, პოლონეთის ლტოლვილთა ბანაკებში საქართველოს 4 ათასზე მეტი მოქალაქე იმყოფება, რომელთა დეპორტაციის თაობაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ამას, ალბათ, უნდა დავუმატოთ ის ქართველებიც, რომლებიც დევნილის სტატუსის მაძიებლებად არ დარეგისტრირებულან და უშედეგოდ ცდილობენ სამსახურის მოძებნას.*

*სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ქართველები ყველაფერზე მიდიან, რათა სამშობლოში არ დაბრუნდნენ და დღევანდელ საქართველოში ცხოვრებას უცხოეთის დევნილთა ბანაკებში ყოფნა ურჩევნიათ.*

*ამან გასული წლის დეკემბერში, კინაღამ ფართომასშტაბიანი ტრაგედია გამოიწვია. კერძოდ, პოლონეთში ქართველებმა, ჩეჩნებმა და ინგუშებმა მატარებელი გაიტაცეს და გერმანიაში გადასვლა სცადეს. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ უცხოეთის ლტოლვილთა ბანაკებში მყოფ ქართველებს სასოწარკვეთილება უფრო რადიკალურ საპროტესტო ნაბიჯებს არ გადაადგმევინებს.*

*„მატარებლის ინციდენტის“ ერთ-ერთი მონაწილე ტარიელ ხავთასი „მედიანიუსთან“ საუბრისას ზემოხსენებული შემთხვევის დეტალებს იხსენებს და აცხადებს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მას საქართველოს დატოვება არ გადაუფიქრებია.*

# ქართველი ემიგრანტი: მატარებლის გატაცება სასოწარკვეთილებამ გადაგვაწყვეტინა!

—საქართველოში ვერ ვიშოვე ვერანაირი სამსახური, რადგან 40 წლის კაცი არავის სჭირდება! ამიტომაც, საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე. რამდენიმე საკონსულოს მივმართე, მაგრამ ვიზა არავინ მომცა. შემდეგ, ახლობელმა მირჩია, რომ ბელორუსიდან პოლონეთში გადავსულიყავი. მოკლედ, ვისესხე ფული, გავყიდე მანქანა და ჩავედი მინსკში. იქ ერთ-ერთმა პიროვნებამ 300 დოლარად პოლონეთში გადამიყვანა. პირველივე შემხვედრ პოლონელ პოლიციელს ჩავბარდი, რომელმაც ჯერ პოლიციის განყოფილებაში მიმიყვანა, სადაც ანკეტა შევავსე, შემდეგ კი, ლტოლვილთა ბანაკში გადამიყვანა. ეს ყველაფერი ხდებოდა ზაფხულში. ლტოლვილთა ბანაკში უამრავი ქართველი, ჩეჩენი და ინგუში დამხვდა, სექტემბერში წაიკითხეს 500-კაციანი სია და განაცხადეს, რომ ამ პიროვნებებს უარი ეთქვათ თავშესაფარზე და ექვემდებარებოდნენ დეპორტაციას. ამ სიაში მეც ვიყავი.

**— ისე, საინტერესოა, რა მოტივით მოითხოვეთ თავშესაფარი?**

— არ არის ეს საინტერესო. ისე, იქ უმრავლესობა ამბობდა, რომ ქურთი ან იეზიდი იყო. ქართველებს ვგულისხმობ, თორემ ჩეჩნებს და ინგუშებს არაფერი ჰქონდათ გამოსაგონი, რადგან ჰქონდათ იმის დოკუმენტაცია, რომ რუსებმა დახოცეს მათი ნათესავები და სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში, მათაც იგივე ელოდათ. თუმცა, ბევრ მათგანს პოლონელებმა თავშესაფარზე უარი უთხრეს.

**— დევნილთა ბანაკში როგორი პირობები იყო?**

— ადმინისტრაციას ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდა. მეორეც, ისეთ საჭმელს გვაჭმევდნენ, რომელსაც ღორიც კი არ გაეკარებოდა. წარმოიდგინეთ, რომ ბანაკში ზოგიერთს სამ-სამი ბავშვი ჰყავდა და როგორი საქმეა, რომ ბავშვს ეს საზიზღრობა აჭამო. არ ვიცი, რისგან ამზადებდნენ სუპს. ალბათ, აყროლებული მუხუდოსგან, რადგან სასადილოდან ისეთი სუნი გამოდიოდა, რომ იქაურობას ახლოს ვერ გაეკარებოდი. თუ ვინმე პრეტენზიას გამოთქვამდა, ეუბნებოდნენ, რას მოეთრეოდით, რომ მოეთრეოდითო!..

**— ცინიკური დამოკიდებულება ქართველების მიმართაც ჰქონდათ?**

— განსაკუთრებით ეს ქართველების მიმართ იგრძნობოდა, რადგან ყველაზე მეტნი ჩვენ ვიყავით, თან ყოველდღე ახალ-ახალი პარტია გვემატებოდა. ყველა იყო ნორმალური, ინტელიგენტი ადამიანი, რომლებმაც საქართველოში ვერაფერი გააკეთეს და ბედის საძებნელად საზღვარგარეთ წავიდნენ.

**— მოდით, მატარებლის გატაცების დეტალებზე ვისაუბროთ.**

— არ ვიცი, შეიძლება თუ არა, რომ ამას გატაცება დავარქვათ. ეს უფრო პროტესტის ფორმა იყო. მოკლედ, გვითხრეს, რომ ჩვენს დეპორტაციას 20 დეკემბერს აპირებდნენ. ამიტომაც, გარკვეულმა ჯგუფმა გერმანიაში გადასვლა გადავწყვიტეთ. როგორც ჩანს, ანალოგიური გადაწყვეტილება სხვებმაც მიიღეს, რადგან 14 დეკემბერს ლეგნიცის რკინიგზის სადგურზე 200-ზე მეტმა ადამიანმა მოვიყარეთ თავი. ძირითადად, ქართველებმა, ჩეჩნებმა და ინგუშებმა. რა თქმა უნდა, უკვე გამორიცხული იყო, რომ მატარებელში ჩუმად ავსულიყავით. ფეხით კი, გერმანიის საზღვრამდე ვერ მივაღწევდით, რადგან არც ფული გვქონდა და არც დოკუმენტები. მატარებელში შეშვებაზე უარი გვითხრეს. ამიტომაც, ჯერ სარკინიგზო მაგისტრალი გადავკეტეთ, შემდეგ კი, სპონტანურად, ყოველგვარი წინასწარი დაგეგმვის გარეშე, ავედით მატარებელში. ამან მგზავრებში პანიკა გამოიწვია. თუმცა, როდესაც გაიგეს, თუ ვინ ვიყავით და არაფერს ვერჩოდით, დამშვიდნენ და თანაგრძნობით განიმსჭვალნენ. მატარებლის მემანქანემ ატეხა ყვირილი, არიქა, ტერორისტებმა ხელში ჩაიგდეს მატარებელიო. ამან გაგვაღიზიანა. რამდენიმე ჩეჩენი მივიდა მემანქანესთან და უბრძანეს, რომ სვლა დაეწყო გერმანიის საზღვრის მიმართულებით. ხაზს ვუსვამ იმას, რომ არანაირი იარაღი, უბრალო ჯოხიც კი, არ გვქონდა.

**— მართლა გეგმავდით მატარებლით სტრასბურგში ჩასვლას და ევროსასამართლოში ჩივილს?**

— ეს სასოწარკვეთილებამ ვთქვით. თორემ, ძალიან კარგად ვიცოდით, რომ სტრასბურგამდე არავინ გაგვიშვებდა. მატარებელში ქალებმა და ბავშვებმა ტირილი დაიწყეს, რადგან ეგონათ, რომ პოლიციელები გვესროდნენ. თუმცა, გზაზე არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ვერტმფრენები გვზვერავდნენ. საბოლოოდ, მივაღწიეთ გერმანიის საზღვარს და გვეგონა, რომ გადაგვიშვებდნენ ამ ქვეყანაში. მაგრამ მატარებელი ზგოჟელეცში გააჩერეს და პოლონურმა სპეცრაზმმა ალყა შემოგვარტყა. მოვიდა მათი წარმომადგენელი და მატარებლის დატოვება შემოგვთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. ნახევარ საათში კი, შტურმი დაიწყეს. არავის მოსვლია აზრად წინააღმდეგობის გაწევა და სიმართლე რომ ვთქვათ, უხეშად არც პოლიციელები მოქცეულან. გადაგვიყვანეს ისევ ლეგნიცის ბანაკში, ჯერ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, თუმცა, მოგვიანებით, ყველას დაჩქარებული დეპორტაციის განაჩენი გამოგვიტანეს. მე და კიდევ 30 ქართველი თბილისში იანვრის დასაწყისში ჩამოგვიყვანეს. მიუხედავად ამისა, მაინც შევეცდები რომელიმე ქვეყანაში გადასვლას, რადგან აქ, ელემენტარულად, არსებობის საშუალება არ მექნება. თუმცა, წასვლაც უკვე ძალზე ძნელია, რადგან ქართველებს ყველგან განსაკუთრებით გვაკონტროლებენ.

**მედიანიუსი.**

ვარაუდი

***საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნის იდეა, რომელსაც „პირველმა“ ადრე რამდენიმე მასალა მიუძღვნა, კვლავ აქტუალურად რჩება. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში სპეციალური ჯგუფი მუშაობს, რომელიც ქვეყნის მართვის სხვადასხვა მოდელებს განიხილავს. ქვეყნის საპარლამენტო მართვის მოდელზე გადასვლას მხარს უჭერს თითქმის მთელი საპარლამენტო უმცირესობა. მას ასევე ემხრობა არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილიც. პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სივრცეში ერთადერთი საპარლამენტო რესპუბლიკა მოლდოვაა, სადაც ამ მოდელმა ქვეყანა თითქმის ერთი წლის განმავლობაში პრეზიდენტის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ორგანოების გარეშე დატოვა.***

***2000 წლიდან, როცა რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები შევიდა, მოლდოვას პარლამენტი პრეზიდენტს ფარული კენჭისყრის გზით ირჩევს. ამ წესით მოლდოვას საკანონმდებლო ორგანომ 2001 წლის 4 აპრილს სახელმწიფოს მეთაურად „კომუნისტური პარტიის“ ლიდერი ვლადიმერ ვორონინი აირჩია, რომელიც, პრეზიდენტი ორი ვადით იყო. სადღეისოდ ქვეყანაში, შეიძლება, ითქვას, მწვავე პოლიტიკური კრიზისია. 2009 წლის 5 აპრილს მოლდოვაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც, ოფიციალური მონაცემებით, „კომუნისტურმა პარტიამ“ გაიმარჯვა. არჩევნებიდან მალევე კიშინიოვში მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. ოპოზიციონერი ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ საპარლამენტო არჩევნები დარღვევებით ჩატარდა და ქვეყნის პრეზიდენტმა შედეგები ტოტალურად გააყალბა. აქციის მონაწილეებმა პარლამენტისა და პრეზიდენტის რეზიდენციის შენობები დაარბიეს, ამას სამართალდამცველებთან შეტაკება მოჰყვა, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. კიშინიოვში მიმდინარე მოვლენებს მოლდოვას პრეზიდენტმა სახელმწიფო გადატრიალების კვალიფიკაცია მისცა.***

***ვორონინის მონაცემებით, საპროტესტო აქციაზე გაჟღერებული ერთ-ერთი მოთხოვნა რუმინეთთან შეერთება იყო. ამასთან დაკავშირებით ვორონინმა რუმინელი ჟურნალისტებისათვის საზღვრები ჩაკეტა, რუმინეთის ელჩი მოლდოვაში კი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა. აქციების დასრულების შემდეგ ახლადარჩეულმა პარლამენტმა ახალი პრეზიდენტის არჩევა ორჯერ — 20 და 28 მაისს სცადა, შემდეგ 3 ივნისისთვის გადაიდო, თუმცა ამჯერადაც უშედეგოდ. 20 მაისს არჩევნებში ორი კანდიდატი — პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ზინაიდა გრეჩანაია და აკადემიკოსი სტანისლავ გროპა მონაწილეობდნენ, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა აუცილებელი 61 ხმის მოპოვება ვერ შესძლო. ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, მოქმედი პრეზიდენტი იძულებული გახდა, საკანონმდებლო ორგანო დაეთხოვა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაენიშნა. ვორონინმა პარლამენტი 16 ივნისს დაითხოვა და 29 ივლისს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა. ახალმა პარლამენტმა პრეზიდენტის არჩევა კვლავ ვერ შესძლო. განმეორებით არჩევნებში, 10 ნოემბერსა და 7 დეკემბერს პრეზიდენტობის უკვე ერთადერთ კანდიდატს — 29 ივლისს არჩეული პარლამენტის წევრს, „დემოკრატიული პარტიის“ ლიდერს მარიან ლუპუს „კომუნისტებმა“ ბოიკოტი გამოუცხადეს და კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქვეყანას არც პარლამენტი და არც პრეზიდენტი ჰყავს. ფაქტობრივად, შეიქმნა პატური მდგომარეობა: მოლდოვაში, რომელიც სადღეისოდ პოსტსაბჭოურ სივრცეზე ერთადერთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, ვერც პრორუსულად განწყობილი კომუნისტები და ვერც ოპოზიციური ძალები არათუ პრეზიდენტის, არამედ მთავრობის არჩევასაც კი დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ.***

***რამდენად მზადაა საქართველო აღნიშნულ მოდელზე გადასასვლელად და ხომ არ შეიძლება, მოლდოვაში არსებული მწვავე პოლიტიკური კრიზისი ჩვენთვის მაგალითად ჩაითვალოს? ხომ არ მივიღებთ საქართველოში, სადაც ისედაც მუდმივი პოლიტიკური მღელვარებაა, აღნიშნული მოდელის შემოღებით სრულ ქაოსს? — ამ და სხვა საკითხებზე „პირველი“ ქართველ პოლიტოლოგებს ესაუბრა.***

# საპარლამენტო რესპუბლიკა, ანუ რატომ სურთ ქართველებს საქართველოში „მოლდოვას გასაჭირი“?



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** მოლდოვაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას „პრორუსული „კომუნისტური“ ძალის სრულ კრახად“ მიიჩნევს. „კომუნისტებმა სრული კრახი განიცადეს და ქვეყანა დასავლეთისკენ მიისწრაფვის. რაც შეეხება იქ არსებულ ხშირ პოლიტიკურ ქაოსს, როგორც ვნახეთ, მოლდოვა საპარლამენტო მოდელისთვის მზად არ აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, იქ მიმდინარე პროცესები საყურადღებო უნდა იყოს საქართველოსთვის, სადაც საპარლამენტო მოდელზე გადასვლაზე აქტიურად მიდის საუბარი: მოლდოვა ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა შეიძლება, ამას მოჰყვეს. ჩვენი ქვეყანა ამ მოდელზე გადასვლისთვის მზად არ არის, რადგან მისი პოლიტიკური სისტემა ამისათვის არ მომწიფებულა. საპარლამენტო რესპუბლიკაში პარტიული სისტემა უნდა იყოს ძლიერი. შეიძლება ვინმემ იტალიის მაგალითი მოიყვანოს, მაგრამ იქ პარტიული სისტემა ძალიან ძლიერია. საქართველოში პარტიები 200 ან 5 კაცისგან შედგება, ამ რეალობიდან გამომდინარე კი, საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადასვლა სრულ ქაოსს გამოიწვევს — როგორც პოლიტიკურს, ასევე ეკონომიკურს. ამასთან, როდესაც რუსეთის ტიპის ქვეყანა გყავს მეზობლად, საპარლამენტო მოდელზე საუბარი სახიფათოა, რადგან ამ მოდელის არსებობის შემთხვევაში მტერს უადვილდება და უფრო მეტი პერსპექტივა ექნება, მთლიანად ქვეყანაზე ან რომელიმე ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერზე ზეგავლენა მოახდინოს. დღეს ჩვენთვის ეს მოდელი სრულიად მიუღებელია.

ვნახოთ, როგორ განვითარდება ჩვენი პოლიტიკური კულტურა, შეიძლება, რამდენიმე წლის შემდეგ ამაზე საუბარი უფრო აზრიანი გახდეს“, — განუცხადა „პირველს“ ცინცაძემ.

კენტის უნივერსიტეტის (Kent State University, aSSძ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი **ვასილ რუხაძე**



ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, რომ „ჩვენში პარლამენტარიზმის მოქადაგე ადამიანებს არასდროს დაუკონკრეტებიათ, კერძოდ როგორი სახის საპარლამენტო სისტემის დამყარება სურთ საქართველოში, თუმცა მათთვის ეს არც არავის უკითხავს“. „საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიოში პროპორციული და პლურალისტური საპარლამენტო სისტემების ერთმანეთისგან მმართველობის ეფექტურობისა და სამთავრობო სტაბილურობის ხარისხით დიამეტრალურად განსხვავებული უამრავი ქვესახეობა არსებობს: ზოგი მათგანი ბევრად არაფრით გამოირჩევა საპრეზიდენტო სისტემისგან, ზოგი კი იმდენად დეცენტრალიზებული გახლავთ, რომ მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებასაც კი თვეები სჭირდება, რაც წარუმატებლობის შემთხვევაში ხშირად ახალი რიგგარეშე არჩევნებით მთავრდება. მაგალითად, ბრიტანული პლურალისტური პარლამენტარიზმი, სადაც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტია ხუთი წლის ვადით, ერთპიროვნულად აყალიბებს მთავრობას, ძალზედ განსხვავდება გერმანული და ბერძნული ტიპის ნახევრადმაჟორიტარული საპარლამენტო სისტემებისაგან. ეს უკანასკნელნი კი საკმაოდ შორს დგანან იტალიის პროპორციული პარლამენტური ფორმისგან, რომელიც საოცარი პოლიტიკური არასტაბილურობითა და სამთავრობო კრიზისებით გამოირჩევა“ — აღნიშნავს რუხაძე.





ექსპერტის კავკასიის საკითხებში, ყოფილი დიპლომატის **გიორგი მამულიას** შეფასებით, „მოლდოვაში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი პირდაპირი შედეგია რამდენიმე ფაქტორისა, რომლებიც, სამწუხაროდ, ობიექტურ მიზეზთა გამო თავს იჩენენ თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ რესპუბლიკაში“. „კერძოდ, ეს განაპირობა იმან, რომ მოლდოვაში, სადაც მოვლენები უარესი სცენარით განვითარდა, ვერ მოხერხდა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დროს იმ ელემენტალური ნორმების დაცვა, რომელსაც როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან თამაშის საერთო წესების გამომუშავება და შინაგანად შეთვისება ჰქვია და რომელიც კონსტიტუციის სახით საფუძვლად უდევს ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირებას დასავლეთ ევროპაში. რა თქმა უნდა, ამას ემატებოდა მოლდოვას ადგილობრივი სპეციფიკაც.

იხ. 6 გვ.

განხეთქილება

# მიხეილ ანთაძემ თეატრში ოჯახური ბიზნესი მოაწყო?..

**რამდენიმე დღეა თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ბავშვთა თეატრში მსახიობებსა და თეატრის მმართველს შორის განხეთქილებაა. თეატრის არც ისე ახალი მმართველი მიხეილ ანთაძე პროფესიონალ და სტაჟიან მსახიობებს ერთი ხელის მოსმით ანთავისუფლებსო — აცხადებენ მსახიობები.** უკვე 15-მა თანამშრომელმა თეატრი დატოვა, უფრო სწორად, დაატოვებინეს, ამასთან დაკავშირებით მსახიობის სახლში ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის მხარდამჭერი აქცია გაიმართა. აქცია-პრესკონფერენციის მონაწილენი სხვადასხვა თეატრის მსახიობები, რეჟისორები და თეატრმცოდნეები იყვნენ. პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ: ნიკო ლორთქიფანიძე, ნათელა მაჭავარიანი და საზოგადოების სხვა ცნობილი სახეები. მათი ძირითადი მოთხოვნა თეატრის მმართველის თანამდებობიდან გადაყენებაა, რადგან, მათივე თქმით, ანთაძემ თეატრში ოჯახური ბიზნესი მოაწყო. განთავისუფლებულმა მსახიობებმა აქვე ისიც აღნიშნეს, რომ სანამ ანთაძე არ გადადგება, სამსახურში არ დაბრუნდებიან.

თეატრის შემოქმედებითი ჯგუფის ერთმა ნაწილმა რამდენიმე დღის წინათ, თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და კულტურის მინისტრს ნიკა რურუას: „ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი თეატრის პრობლემები და დაგვინიშნოთ ღირსეული მმართველი, რომელიც იზრუნებს თეატრზე და არა — საკუთარი ჯიბის გასქელებაზე. თეატრის რეპერტუარში ხვდება მხოლოდ ის სპექტაკლები, რომელიც მმართველმა დაწერა ან თარგმნა, დადგა და მუსიკალური გაფორმებაც მასვე ეკუთვნის, საიდანაც თავად იღებს ჰონორარს. დღესდღეობით თეატრი შემოქმედებითი კატასტროფის პირას დგას“. — ნათქვამია წერილში, რომელიც პრეზიდენტს გაუგზავნეს.

როგორც გაირკვა, მიხეილ ანთაძე წლების მანძილზე, საკუთარ სპექტაკლებს დაბადების დღის ცენტრებში დგამდა და სწორედ ამ წარმოდგენებმა დაიკავა დღეს აკადემიური თეატრის რეპერტუარი, რაც მსახიობებს თეატრის შეურაცხყოფად მიაჩნიათ.

ანთაძე სამ თეატრს: რუსულ მოზარდს, ქართულ მოზარდს და თოჯინების თეატრს წარსულსა და მომავალს უკარგავს და საკუთარი იაფფასიანი შემოქმედებით კმაყოფილი, თავის თავს დიდ მეზღაპრედ ასახელებსო, — განაცხადეს შეკრებილებმა.

თეატრის მმართველის თქმით, დასიდან მხოლოდ ის ხალხი გაანთავისუფლა, ვისაც სამი წელია როლი არ შეუსრულებია. „ცხადია, ეს ხალხი განაწყენდა და მე ადამიანურად მესმის მათი. ჩვენ 130 სკოლასთან გავაფორმეთ საააბონენტო ხელშეკრულება, მალე სკოლების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. დღეში ოთხ წარმოდგენას გავმართავთ, თანაც სრული ანშლაგით. ბავშვი კი ყველაზე რთული მოსატყუებელია. თუ ასეთ ცუდ სპექტაკლებს ვდგამთ, რატომ დადიან ბავშვები განმეორებით წარმოდგენებზე“.



მსახიობებმა აღნიშნეს, რომ ანთაძე კანონს არღვევს და აცხადებს, რომ თეატრის ერთპიროვნული მმართველია, არ დაუშვებს ცენტრალური საბავშვო თეატრის განადგურებასა და თვითმოქმედთა კლუბად ქცევას. მსახიობები შემოქმედებითი და ფინანსური კომისიის დაუყოვნებლივ შექმნას მოითხოვენ, რომელიც უმოკლეს ვადაში შეისწავლის თეატრში არსებულ მდგომარეობას.

**ნიკო ლორთქიფანიძე:**

— „მოზარდ მაყურებელთა თეატრი ყოველთვის ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნეოდა, დღეს კი ნელ-ნელა იძირება. ნ. დუმბაძის თეატრში უნდა იდგმებოდეს დუმბაძის და არა ანთაძის პიესები. ანთაძის პიესებს საერთო არაფერი აქვს ხელოვნებასთან. მახსოვს, ერთხელ ანთაძემ ისიც კი მითხრა, მსახიობების მიღება თქვენი საქმეა და გაშვება ჩემიო. როცა განთავისუფლებული მსახიობების სია წავიკითხე, თეატრში არ შევსულვარ და არც შევალ, რაც ამ თეატრში იდგმება, ეს ყველაფერი მაკულატურაა“.

**ხატია მუსერიძე**

## დაპირებათა კორიანტელში

# ცუნდრუკთა, უსჯულოთა და უმეცრად უსამართლოთა გამო...

## ანუ დაგვიბრუნეთ საქართველო

**დიდი სახელმწიფოები ისეთივე მტაცებლები არიან, როგორებიც იყვნენ საუკუნეების წინათ. რატომ გვგონია, რომ XXI საუკუნეში დაპყრობითი ომების ეპოქა დამთავრებულია? მტაცებლები დარჩნენ მტაცებლებად. ცივილიზაციის სიმაღლე ხალხის ბუნებას არ ცვლის. ამ შემთხვევაში საუკუნე არაფერს ნიშნავს. ომი ძალაზეა დაფუძნებული. იმარჯვებს ძლიერი. გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. უფრო სწორად, ვერ ასამართლებენ, რადგან ძლიერს მეტი ძალა აქვს.**

საქართველო დამარცხდა. „ვარდოსნები“, გული რომ არ გაგვიტყდეს, დამარცხებას გამარჯვებად გვიხატავენ. გვაიმედებენ, „ომი არ დამთავრებულაო“. ერის მამებო, რატომ არ უფიქრდებით, რომ მოწოდების ხშირი გამეორება საქართველოს ახალ ღვთის რისხვად დაატყდება? რუსეთი რომ აგრესიული ქვეყანაა, ახლა გავიგეთ? სუსტი სახელმწიფოს უმთავრეს იარაღს ყოველთვის დიპლომატია წარმოადგენდა. თანამედროვე ქართული დიპლომატია კი ცეცხლზე ნავთის დასხმით არის დაკავებული.

არადიპლომატიურ ქცევას მაშინ ექნებოდა გამართლება, როცა პროცესი ტრაგიკულად არ მთავრდება. საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ბერძნების მოქმედება მარათონის ბრძოლის (ძვ. წ. 490 წელსძ წინ. ათენსა და სპარტაში „მიწისა და წყლის“ კატეგორიული მოთხოვნით გამოცხადებული სპარსეთის ელჩები ელინებმა სიკვდილით დასაჯეს. ხელშეუხებლობის სტატუსით აღჭურვილი პირებისადმი გამოვლენილი ანგარიშსწორებით დიპლომატიას სერიოზული ზიანი მიადგა, მაგრამ შედეგმა დავიწყებას მისცა დანაშაული. პატარა საბერძნეთს აღმოაჩნდა ძალა მსოფლიოს ერთპიროვნული მბრძანებელი დარიოსი რომ დაემარცხებინა. იმ შორეულ წარსულში ბერძნებს მეგობრები არ ჰყოლიათ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონდათ. ჩვენ მთელი მსოფლიო გვიდგას გვერდით და გვაქეზებს: შეუტიეთო. შეტევაც ისეთი უნდა, ჩვენ რომ ვიცით.

XXI საუკუნის ქართველი პოლიტიკოსები (პოლიტიკისაგან საკმაოდ შორს მდგომნიძ კონტინენტიდან კონტინენტზე ამაყად დაგრიალებენ და ბედკრულ საქართველოს „მეგობრებს“ „მეგობრებზე“ ჰმატებენ. შედეგი? მტერსაც რომ არ უსურვებ ისეთი. ჩვენც ვერ ვხვდებით (თუმცა ჩვენ ვინ გვეკითხებაძ, რომ მეგობრები ბოლომდე საიმედონი არ არიან.

ქართველთა დიდი უმრავლესობა უბედურების პასიურ მაყურებლადაა ქცეული. ხანგრძლივმა პოლიტიკურმა ბატალიებმა ნათელი გახადა, რომ ოპოზიციის სახელით მოქმედნი კიდევ უფრო ამრუდებენ ისედაც ბურუსიან გზას და შვების ნაცვლად ამძიმებენ ყოველდღიურობას. პატრიოტული სიტყვების ფრქვევა არ არის საკმარისი. ხალხი დაიღალა უსაგნო და უმისამართო ხეტიალით.

დღევანდელ საქართველოში დემოკრატია და არჩევნები საოცრად პოპულარულია. სინამდვილეში დემოკრატია იქცა უშინაარსო სიტყვად, რომელსაც პოპულისტებმა საერთოდ დაუკარგეს მნიშვნელობა. არჩევნები კი ჩამოქვეითდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა საარსებო ინსტრუმენტამდე. არჩევნებით შეუძლებელია თეთრისა და შავის გარჩევა. რიგითი ადამიანები დაუღევრად ექცევიან საკუთარ უფლებებს. არ აქვთ გაცნობიერებული რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა ის ხმა, რომელიც აქვთ, მაგრამ არ თუ ვერ იყენებენ პირდაპირი დანიშნულებით.

დემოკრატია და ხმის მიცემა საწყის ეტაპზე უფრო სრულყოფილი იყო. დემოკრატიის სამშობლოში, ძველ საბერძნეთში ნებისმიერი საკითხი ხმის მიცემით წყდებოდა. ათენის სახალხო კრება იყო ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, სადაც თითოეული სრულუფლებიანი მოქალაქე თანაბარი უფლებებით სარგებლობდა. რაც მთავარია, კრების გადაწყვეტილებას ემორჩილებოდა ყველა, განურჩევლად ქონებრივი ცენზისა თუ საზოგადოებრივი დამსახურებისა. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს, დაცულს დიდი მწერლის პლუტარქეს „პარალელურ ბიოგრაფიებში“. პლუტარქე მოგვითხრობს, მარათონის ბრძოლის მომდევნო წლები ათენმა საომარ სამზადისში გაატარა. სპარსეთის მოსალოდნელი თავდასხმის მოგერიება მოითხოვდა საზღვაო და სახმელეთო ძალების გაფართოებას. ზღვაზე თუ ხმელეთზე უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებით ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი გამოჩენილი პიროვნება: თემისტოკლე და არისტიდე. ხანგრძლივი დავის შემდეგ ათენის დემოკრატია იძულებული გახდა საკითხი განსახილველად გაეტანა სახალხო კრებაზე. საგანგებო კრების რეგლამენტის თანახმად, ყველა მონაწილეს ურიგდებოდა ფირფიტა – ოსტრაკონი, რომელზედაც უნდა დაეწერათ იმ პირის სახელი, ვისი ათენში ცხოვრებაც საფრთხეს უქმნიდა დემოკრატიას. როცა ხმის მიცემა დაიწყო, ერთი უწიგნური გლეხი პირველსავე შემხვედრს მიადგა, გაუწოდა ფირფიტა და სთხოვა, დაეწერა ზედ არისტიდეს სახელი. ეს კაცი აღმოჩნდა არისტიდე. მან გამოართვა ფირფიტა და ჰკითხა, რა გაწყენინა არისტიდემო. გლეხმა უპასუხა, არაფერი უწყენინებია, არც ვიცი ვინ არის, მაგრამ მომბეზრდა ყველანი რომ აქებენ და სამართლიანს უწოდებენო. არისტიდემ დააწერა ფირფიტაზე თავისი სახელი და გლეხს დაუბრუნა. ათენის სახალხო კრებამ ხმების უმრავლესობით არისტიდე ათენიდან გააძევა.

საყოველთაოდ ცნობილია სპარტელი პედარეტეს სიხარული, როდესაც არ აირჩიეს, ჩემს სამშობლოს სამასი კაცი ჩემზე უკეთესი ჰ ყოლიაო.

ქართველები ცხოვრობენ არჩევნებიდან არჩევნებამდე, სადაც ყოველი მომდევნო წინაზე უარესია. არჩევნებში გამარჯვება ნიშნავს რეჟიმს მორგებას. შეუერთდები ტაშის დამკვრელთა არმიას და გარანტირებული აქვს ნებიერი ცხოვრება.

რეფორმისტულმა აურზაურმა ქვა ქვაზე არ დატოვა. პირველი დარტყმა განათლებამ და მეცნიერებამ მიიღო. ბრძოლა ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. მწიგნობართუხუცესთა ხშირმა ცვლამ ისედაც დამძიმებული გარემო კიდევ უფრო აუტანელი გახადა. ძალით დანერგილი სიახლეები აუფასურებს განათლების დანიშნულებას.

სკოლაში პატრიოტული სული უნდა ბატონობდეს. დავას იწვევს ის რეალობა, რომ არაფერი ისწავლება. სახელმძღვანელოებად გვაქვს ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ფრაგმენტების კრებულები. მოსწავლეს სამშობლო უნდა შეაყვარონ იმ ფუნდამენტური საგნების მასწავლებლებმა, რომლებიც განათლების რეფორმას შეეწირნენ. ფართოდაა რეკლამირებული უცხოეთში მიღებული განათლების უპირატესობა. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ უცხოეთისაკენ მიმთითებლებს სულ სხვა მიზანი ამოძრავებთ. ისინი შეფარვით ავრცელებენ აზრს იმის შესახებ, რომ საქართველოში სრულფასოვანი ცოდნის მიღება შეუძლებელია. ამ მანკიერ პოზიციას ყოველდღიურად აღრმავებენ რეფორმისტულ სირთულეებში ბუნდოვნად გარკვეული „რეფორმატორები“. მათ გასაგონად ვაცხადებ, ცოდნას მონდომებული ახალგაზრდა ყველგან შეიძენს, მთავარია ნიჭიერება. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ამერიკაში წასულ ახალგაზრდას ტვინი მოემატოს. ფაქტია, ვინც საშუალოზე მაღალ ნიჭიერებას გამოავლენს, მას უკან აღარ აბრუნებენ. ბრუნდება მხოლოდ ნაწილი. წუთისოფელი არსებობისათვის ბრძოლაა. ახალგაზრდას ვინც უკეთეს საარსებო პირობებს შესთავაზებს, იქ დარჩება. ამაში მოულოდნელი არაფერია და ვერც გაამტყუნებ, რადგან სწორედ შენ შეუწყვე ხელი, სამშობლოს სიყვარულით არ გაზრდილიყო. ამავე დროს აიძულე, რომ წასულიყო. მოკლე დროში საქართველო დაიცლება ნიჭიერი ახალგაზრდებისგან, შემდეგ ნაკლებ ნიჭიერებიც მიჰყვებიან და ჩვენი ქვეყანა უომრად დარჩება მეგობრად გარდაქმნილ თურქეთს. ეს ვინმეს საეჭვოდ მიაჩნია?

ჩვენს რეფორმატორებს ქართული საქმე არ აინტერესებთ. მათ არსებულს ხაზი გადაუსვეს და დააკანონეს გაუგებრობა, რომელსაც განათლებასთან საერთო არაფერი აქვს. პროტესტს უპასუხეს შეურაცხყოფით: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გამოსვლა (2006 წლის ზაფხულშიძ მიმართული იყო განათლებისა და მეცნიერების ევროპული სტანდარტებით გამართვის სათავეში გაუნათლებელი ადამიანების სიმრავლის წინააღმდეგ. ხელისუფლებამ მშვიდობიან მოთხოვნას პოლიცია დაუპირისპირა. პოლიციის შემართებით სავარძელგამაგრებული რექტორი დღესაც ქართველი ახალგაზრდების მოძღვართ მოძღვრად აგრძელებს ღრმად „პატრიოტულ“ საქმიანობას.

უნივერსიტეტის დამარცხებით დაიწყო საყოველთაო განუკითხაობა საქართველოში.

რეფორმატორებმა არსებულს (კარგი იყო თუ ცუდი, ამის გამგები მათ შორის არავინ იყოძ, ხაზი გადაუსვეს და დააკანონეს გაუგებრობაზე აგებული აბსტრაქტული სივრცე, რომელსაც განათლებასთან საერთო არაფერი აქვს. გამარჯვებით გალაღებულმა მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ (სხვა მინისტრებიც კაი ხვითოები იყვნენძ მეცნიერებისა და განათლების ღვაწლმოსილი ადამიანები, უნივერსიტეტის პროფესორები ხულიგნების სახელით მონათლა.

სად გაგონილა, რომ ცივილიზებული სამყაროსთვის ურთულესი პრობლემა – რეფორმა გაატაროს უცოდინარმა, როცა მსგავსი საქმე მცოდნესაც უჭირდება. რეფორმა ნიშნავს არსებულის დახვეწას და არა გადაშლას, მისი სისრულეში მოყვანა შეუძლია დიდი განათლების მქონე პიროვნებას.

ჩვენს სინამდვილეში განათლებისა და მეცნიერების მედროშეები იყვნენ რევოლუციის ტალღით ამოტივტივებული არაპროფესიონალები, რომლებიც იმავე ტალღამ შემდეგ სად გარიყა, არავინ იცის. ქვეყანას ღუპავს შემთხვევით ადამიანთა სიმრავლე. შემთხვევით აღზევებულმა მედროვეებმა გაუთხარეს სამარე ქართულ განათლებასა და მეცნიერებას. აკაკი წერეთელმა 150 წლის წინათ, საოცარი სიზუსტით დახატა („აპელიციის მცოდნეში“ძ ზერელე ახალგაზრდა, საეჭვო განათლებისა, მაგრამ ყველაფრის მცოდნის ამბიციით შეპყრობილი. ყოველგვარი დაძაბვის გარეშე შეიძლება პარალელის გავლება XIX საუკუნის 60-იან წლებში ხაზგასმულ უარყოფით ნიშნებსა და თანამედროვე ცრურეფორმატორთა ნამდვილ ბუნებას შორის.

დღეს აღმოჩნდა, თურმე რეფორმამ ვერ გაამართლა (ამას წინასწარმეტყველებდნენ პროფესორები ოთხი წლის წინათ, რომელთა ხმის ჩასახშობად უნივერსიტეტი პოლიციის შტაბად აქციესძ. ნებისმიერ ეპოქაში, როდესაც მოხელე დაკისრებულ დავალებას ვერ შეასრულებდა, ან სერიოზულ შეცდომას დაუშვებდა, პასუხი მოეთხოვებოდა. ჩვენს შემთხვევაში მდგომარეობას ამძიმებს ის რეალობა, რომ ლომაია-კომპანიის ექსპერიმენტის ობიექტები იყვნენ სკოლის მოსწავლეები და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, რომლებსაც რამდენიმე წელი მრუდე გზით სიარულით გაუმრუდეს წარმოდგენა გარემომცველ სამყაროზე. განათლებისაგან საკმაოდ შორს მდგომი ადამიანები მეცნიერებასა და განათლებას ზიანის მეტს რომ ვერაფერს მოუტანდნენ, თავიდანვე იყო ნათელი.

უკანასკნელ ხანებში განათლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლების საკითხებში აქტიურად ჩაება თბილისის მერი. შემუშავდა უმუშევართა მიმხრობის (საეჭვო არ არის, არჩევნებში მხარდასაჭერადძ, ინგლისური ენისა და კომპიუტერის უფასო სწავლება. ნუთუ დრომ ვერაფერი გვასწავლა? დავუშვათ ყველაფერი იდეალურად წავიდა, სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა რა ქნან? თბილისის მერმა განათლების ფუნქციები შეითავსა კონკრეტულ მიზანთან დაკავშირებით. დემაგოგიური საკენკი სანამდე გვეყოფა?

ტექნიკური პროგრესი შესანიშნავია, მაგრამ ასე დაუფარავი ბრძოლა ქართული სულიერების ამოსაგდებად არც ერთ დამპყრობელს არ უწარმოებია. მტერი ცდილობს, რომ ყველაფერი გაუფასურდეს და ქვეყანა მოიცვას სიბნელემ. იცის, გაუნათლებელ მონაზე ბატონობა ადვილია.

მტერმა გადახნა საქართველო. ითესება გაურკვეველი წარმომავლობის თესლი. ერის „მხსნელად“ მოვლენილი ახალგაზრდები დაუნდობელი სისასტიკით ებრძვიან საუკუნეების ქარცეცხლში გამოტარებულ სულიერ საგანძურს.

უპასუხისმგებლო და უვიცობაზე აგებულმა ევროპულ სივრცესთან მიახლოების მძაღაგებლებმა, ხილული თუ უხილავი ძალების დახმარებით, ქარბორბალასავით გადაუარა საქართველოს. დადგა მტრის ხელით დანერგილი უმეცრების ზეიმის ხანა.

რეფორმატორთა თავაშვებულობას შესანიშნავად მიესადაგება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვები: „დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კვირიკესი აღსართან, რომელსა არა ჰქონდეს ნიჭი მეფობისანი, რამეთუ იყო ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო“. ასეთი ადამიანების შთაბეჭდილებას სტოვებენ ჩვენი ერის „გარდამქმნელი“, ახალი სივრცეების დასაპყრობად ამხედრებული რეფორმატორები. შედეგიც ნათელია. „ცუნდრუკი“ და „უმეცრად უსამართლო“ პირები საქართველოს უსასტიკეს დამპყრობლად მოევლინენ. „ცუნდრუკ“ და „უმეცრად უსამართლო“ პირთა სიმრავლემ ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ცოდნას და ასპარეზი დაუთმო უცოდინარობას, ძირს დასცა სკოლა, უნივერსიტეტი, აკადემია და მრავალი ღირსეული პიროვნება ქუჩაში გამოაძევა. „ცუნდრუკი“ და „უმეცრად უსამართლონი“ ისე იქცევიან, თითქოს არაფერი მომხდარა.

გამარჯვებული ცრურეფორმატორები ამაყად აგრძელებენ ქვეყნის საზიანო საქმეს. მათ წინააღმდეგ ერთეულების ხმა, რჩება „ხმად მღაღადებლისად“. საჭიროა ერმა, რომელიც 20 წელია მაყურებლის როლით კმაყოფილდება, თქვას თავისი სიტყვა. საქართველოს ცას მუდამ ძნელბედობის ღრუბელი ადგა, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ მტერი ერთი იყო. დღეს მოხდა შინაური და გარეშე მტრის გაერთიანება ეროვნული ფესვების ამოსათხრელად. ვინც მეტ აქტიურობას ავლენს, მას განსაკუთრებული დიდებით მოსავენ. შინაურ და გარეშე მტერთა ერთიანობა მიწასთან გასწორებას უქადის ყოველივე ქართულს, რათა გზა გაუხსნას გაუგებრობაზე აგებულ თანამედროვე „მიღწევებს“.

ცრუ გვირგვინოსანთა დაპირებებით, ხელში გვადნება საქართველო. ფაქტია, განათლების დაცემა გააუფასურებს ეროვნულ ცნობიერებას. აღნიშნულ საშიშროებასთან დაკავშირებით, გაოცებას იწვევს ბევრი ღვაწლმოსილი პიროვნების ოლიმპიური სიმშვიდე.

ქვეყანა, რომელშიც მცოდნესაც და არამცოდნესაც პირველობა სურს, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. ბედს შეგუებული ადამიანები წუთისოფელს ატარებენ ბეწვის ხიდზე გალმა-გამოღმა როკვით და სიმღერით. ნეტარ არიან მორწმუნენი.

ახალი საქართველოს მუხლჩაუხრელმა „მშენებლებმა“ მიაღწიეს იმას, რომ ისედაც პატარა ჩვენი სამშობლო სამად გაგვიყვეს.

ჩვენ ნაკლებად ვფიქრობთ იმაზე, რომ გვეკარგება სრულუფლებიანი და სრულფასოვანი მოქალაქის ბუნება. განცდა იმისა, რომ ეს ქვეყანა არის ჩვენი სამშობლო და არა შარაგზა, რომელმაც უნდა გაატაროს ათასგვარი უბედურებანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (ანდა პირიქითძ. ვიწამოთ, რომ საქართველო არის მიწადქცეული ჩვენი წინაპრები და ჩვენც ამ მიწას უნდა დავუბრუნდეთ. დავიბრუნოთ განცდა იმისა, რომ ვცხოვრობთ ქვეყანაში, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის და ვუტოვებთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

უპირველესად უნდა შევძლოთ თეთრისა და შავის გარჩევა. საჭიროა, ცოტა ვილაპარაკოთ და ბევრი მოვისმინოთ, რადგან გვაქვს ერთი ენა და ორი ყური.

დავიბრუნოთ აჩრდილად ქცეული სამშობლო. დავიბრუნოთ ის, რაც სულ ახლახან დავკარგეთ (დავკარგეთ კი ძალიან ბევრიძ.

დღევანდელი ცრუ დაპირებების შემყურე ქართველებს თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ რომის იმპერატორის ოქტავიანუს ავგუსტუსის სიტყვები, წარმოთქმული ტევტობურგის ტრაგედიასთან დაკავშირებით: „კვინტილიუს ვარუს, დამიბრუნე ლეგიონები“.

ჩვენ უფრო დიდი ბრძოლა გვაქვს წაგებული.

დაგვიბრუნეთ საქართველო.

**გრანი ქავთარია.**

ვარაუდი

**(მეოთხე გვერდიდან)**

# საპარლამენტო რესპუბლიკა, ანუ რატომ სურთ ქართველებს საქართველოში „მოლდოვას გასაჭირი"?

გავიხსენოთ, რომ მოლდოვა მიეკუთვნება პოსტსაბჭოური სივრცის ერთ-ერთ უღარიბეს რესპუბლიკას, რომელსაც მთელი ძალით დაატყდა ეკონომიკური კრიზისი. ამასვე ემატებოდა რუსეთის მიერ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის – დნესტრისპირეთის რეგიონის ფაქტობრივი ოკუპაცია, სადაც ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით რუსეთი ინარჩუნებდა საოკუპაციო ჯარებს. კრემლის ამგვარი ქმედება უდავოდ აიხსნება იმ გარემოებით, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მოლდოვას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. კერძოდ, მოლდოვა პირდაპირ ექცევა ზურგში უკრაინას. დნესტრისპირეთის რეგიონში თავისი ჯარების შენარჩუნებით რუსეთი ფაქტობივრად ზურგიდან ექცევა უკრაინას და გარკვეულწილად კვეთს მას ევროპისგან. როგორც ვხედავთ, მხოლოდ ეს ზოგადი შტრიხებიც საკმარისია, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი პარალელები გავავლოთ მოლდოვასა და საქართველოს შორის. შეიძლება, ითქვას, მოლდოვაში ამჟამად სრული ქაოსია, რითაც კრემლმა სრულად მიაღწია საკუთარ სტრატეგიულ მიზნებს. ფაქტობრივად, ვორონინისა და ოპოზიციის დიდი ნაწილის უპასუხისმგებლო მოქმედებების გამო, მოვლენები იქ დაახლოებით იმ უარესი სცენარით განვითარდა, რომლითაც შეიძლება, განვითარებულიყო ჩვენთანაც 2007 წლის ნოემბერში ან 2009 წლის აპრილ-ივლისში. საბედნიეროდ, მოლდოვასგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლებამ შეძლო, თავი აერიდებინა ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაციისათვის და ამავე დროს, ქართულმა საზოგადოებამაც გამოიჩინა საკმარისი პოლიტიკური სიმწიფე. მოლდოვაში კი მოვლენები სრული რუსული სცენარით განვითარდა: ჯერ სრულიად არაპოპულარული უზურპატორი პრეზიდენტის და მის მიერ საპარლამენტო არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ახალგაზრდობის სამართლიანი აღშფოთება და საპროტესტო გამოსვლები, რითაც პრეზიდენტის ხელისუფლების სრული დელიგიტიმიზაცია და კომპრომეტაცია მოხდა; შემდეგ უმწვავესი ეკონომიური კრიზისისა და ჩამოშლილი ეკონომიკის პირობებში ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომლებმაც გამარჯვება კომუნისტებს მოუტანა... სადღეისოდ სიტუაცია იქ დაახლოებით ისეთია, როგორიც საქართველოში შევარდნაძის მმართველობის წლებში. მთავარი კი აქ ის არის, რომ როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო რესპუბლიკის წესიერი ფუნქციონირებისთვის საჭიროა შესაბამისი აუცილებელი პირობების არსებობა, რომლის გარეშეც სიტუაცია ძნელად თუ იქნება სტაბილური.

თავისთავად საპარლამენტო რესპუბლიკაში ცუდი არაფერია, მაგრამ ამისთვის საჭიროა ქვეყანაში ძლიერი პოლიტიკური პარტიების არსებობა, რომლებიც, არა როგორც ჩვენთან – პიროვნებების გარშემო, არამედ კონკრეტული პოლიტიკურ-ეკონომიკური პროგრამების საფუძველზე ერთიანდებიან და პოლიტიკურ-ეკონომიური თვალსაზრისით პასუხისმგებელი ელექტორატი ჰყავთ. დღევანდელ საქართველოში, სადაც მხოლოდ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას თანამედროვე პოლიტიკური სისტემა, მრავალრიცხოვანი პარტიები, რომლებსაც ხშირად გარკვეული პოლიტიკური პროგრამაც კი არა აქვთ და რამდენიმე ასეული წევრებისგან თუ შედგებიან, ძირითადად ცალკეული პიროვნებების გარშემო არიან გაერთიანებული, ამიტომაც არის, რომ მოცემულ ეტაპზე, სახელმწიფოებრივი მართვის და მისი შემდგომი დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელია მტკიცე პრეზიდენტული ხელისუფლების არსებობა, რომელიც, ბუნებრივია, უნდა ექვემდებარებოდეს სათანადო საპარლამენტო კონტროლს. ფაქტობრივად, პარლამენტის უფლებების ზრდა უნდა მიმდინარეობდეს პარალელურად იმისა, თუ როგორი ტემპით მოხდება ჩვენთან ძლიერი თანამედროვე პარტიების ჩამოყალიბების პროცესი. დააკვირდით, იმ ქვეყნებში, სადაც საპრეზიდენტო ხელისუფლება სუსტი იყო, ან, როგორც, სამწუხაროდ, უკრაინაში, თავად პრეზიდენტს არ აღმოაჩნდა საკმარისი ნებისყოფა, საბოლოო ჯამში, ვერ მოხერხდა სიტუაციის სტაბილიზაცია, ხოლო კრემლმა ამა თუ იმ ფორმით მოახერხა იქ თავისი გავლენის შენარჩუნება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ძლიერი და პასუხისმგებელი პარტიების არარსებობის შემთხვევაში და ამავე დროს სუსტი საპრეზიდენტო ხელისუფლების დროს რუსეთს უამრავი საშუალება აქვს, ჩაერიოს მოცემული ქვეყნის შიდა საქმეებში. გარდა ამისა, ცალკე პიროვნებათა მოსყიდვაც უფრო ადვილია, ვიდრე ერთი კონკრეტული იდეის გარშემო გაერთიანებული ძლიერი პოლიტიკური პარტიის." და ბოლოს, მინდა, აღვნიშნო შემდეგიც: მოლდოვაში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, თუ რაში მდგომარეობს კრემლის რეალური სტრატეგიული ინტერესები. მოგეხსენებათ, სააკაშვილისგან განსხვავებით, ვორონინი საჯაროდ აცხადებდა, რომ არ აპირებს ნატოში შესვლას. ამის მიუხედავად, რუსეთმა ყოველმხრივ შეუწყო ხელი მოლდოვაში დღევანდელი მდგომარეობის, ანუ სრული ქაოსისა და დესტაბილიზაციის შექმნას. ასეთივე ბედს უმზადებდა ის საქართველოსაც გასული წლის მაისივლისის მოვლენების დროს", – განმარტავს მამულია.



უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტის **ირაკლი სესიაშვილის** შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ „მოლდოვურ საზოგადოებაში კომუნისტებს საკმაოდ დიდი მხარდაჭერა აქვთ, ქვეყანამ აჩვენა, რომ დემოკრატია მისთვის გაცილებით ღირებულია, ვიდრე ხელოვნურად შექმნილი სტაბილურობა". „მართალია, ხშირი ვადამდელი არჩევნები გარკვეულწილად აფერხებს ქვეყნის განვითარებას, მაგრამ მისი პოზიტიური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროცესში ყალიბდება პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ძალებიც უფრო მეტად ორიენტირებული არიან საზოგადოების ინტერესების ლობირებაზე, რათა, თავის მხრივ, გაზარდონ მხარდამჭერების გუნდი. რაც შეეხება საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის საკითხს, ეს, პირველ რიგში, უკავშირდება დღემდე არჩეული პრეზიდენტების მიერ გატარებულ პოლიტიკას, რომელმაც, ფაქტია, ვერ გაამართლა და შესაბამისად, მოახდინა საპრეზიდენტო რესპუბლიკის, როგორც ქვეყნის მართვის ფორმის დისკრედიტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო მიმზიდველი უნდა იყოს დემოკრატიის მსურველი საზოგადოებისთვის, პირადად მე უფრო მეტად საპრეზიდენტო რესპუბლიკა მიმაჩნია მისაღებად ჩვენი ქვეყნისთვის. დავასახელებ ამის რამდენიმე მიზეზს: უსაფრთხოების მუდმივი პრობლემა, რომლის დროსაც სწორედ პრეზიდენტმა უნდა მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილება; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე პრეზიდენტი უნდა განასახიერებდეს მთლიანად ქვეყანას, ჩვენს შემთხვევაში კი, როცა საზოგადოება გახლეჩილია მის მხარდამჭერებად და მოწინააღმდეგეებად, ეს არ ხდება; პრეზიდენტი ირჩევა პირდაპირ ხალხის მიერ და სხვა. თუმცა ვფიქრობ, რომ მაშინ, როდესაც აღდგება საქართველოს იურისდიქცია სოხუმზე და ცხინვალზე, შეიძლება, უკეთესი იყოს სწორედ რომ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის შემოღება, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, ვიდრე ერთი გამოკვეთილი ლიდერი პრეზიდენტის სახით. მათ შორის, ამ შემთხვევაში შეიძლება, გასათვალისწინებელი იყოს მისი ეთნიკური წარმომავლობა, რაც შეიძლება, გარკვეული კონფლიქტების საბაბიც გახდეს. საერთო ჯამში, მიმაჩნია, რომ სანამ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ არ ჩატარდება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები, შეუძლებელია, საერთოდ დღის წესრიგში დავაყენოთ ასეთი პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები, ვინაიდან ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მხოლოდ სამართლიანად და დაბალანსებულად წარმოდგენილ პარლამენტს და არა ერთ პარტიას იმის მიხედვით, თუ რა აწყობს მას მოცემულ მომენტში", – განაცხადა სესიაშვილმა.

**საპარლამენტო მართველობის დადებით და უარყოფით მხარეებზე ალბათ, მომავალშიც ბევრი დაიწერება, მაგრამ თუ ექსპერტების მოსაზრებებს გავითვალისწინებთ, მოლდოვა დღევანდელი საქართველოსთვის კარგი მაგალითი უნდა იყოს.**

**ლევან ჭითანავა**

მე ასე ვფიქრობ

# დეპუტატი თავისი ხალხის მსახურია

**საბჭოურ ხანაში ერთ-ერთი იდეოლოგიური ფორმულა, ერთ-ერთი პროპაგანდული ლოზუნგი იყო „დეპუტატი თავისი ხალხის მსახურია". ამას გაქირდვით როდი ვამბობ – ყველა ფორმაციას, ყველა წყობილებას აქვს საკუთარი იდეოლოგიის, აგიტაცია-პროპაგანდის ქონის უფლება; სხვა საქმეა, რამდენად ჯანსაღი, რამდენად მისაღებია იგი ყველაფერი.**

ესეც რომ არა, როგორც მე, საბჭოურხანაგამოვლილს, საბჭოეთში დიდხანს ნაცხოვრებს, ამ გადასახედიდან მეჩვენება, მაშინდელი დეპუტატები უფრო ახლოს იყვნენ ხალხთან, უფრო მეტი მონდომებით ცდილობდნენ ხალხისა და ქვეყნის მსახურებას, ვიდრე ამჟამინდელი პარლამენტარები თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოსი, ვიდრე ამჟამინდელი მინისტრები თუ სხვა ხელისუფალნი. ყველა ესენი, უკლებლივ ყველა, მოწადინებული და გადასული არიან საკუთარი და ახლობელთა ხ ა ხ ი ს, მუცლის, ჯიბის სამსახურზე, უძრავ-მოძრავი ქონების ქ ო ნ ა ზ ე, ბიზნესსა და ბიზნესმენობაზე, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ გრიალზე; და სათანადო მაგალითს იძლევა და წამქეზებლის უპირველეს როლში გამოდის, რა თქმა უნდა, ქვეყნის პირველი პირი!

სრულიად ტრივიალურ შეკითხვას დავსვამ: იყო თუ არა საბჭოთა საქართველოში აგრე თვალში საცემი, ამხელა განსხვავება სახელისუფლებო ხელფასებსა და „რიგით" ხელფასებს შორის, როგორც ახლა არის – თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში? არადა, ის საბჭოთა საქართველო იყო თუ არა უფრო სვეკეთილი, უფრო ნორმალურცხოვრებისდონიანი, ვიდრე ახლანდელი დაქცეული, გაუბედურებული საქართველოა? და უნდა აძლევდნენ თუ არა ასეთ ახლანდელ ქვეყანაში ფუფუნებით ცხოვრების ნებას ძლიერნი ამა ქვეყნისა, პრეზიდენტიდან დაწყებული? არა, არ უნდა აძლევდნენ, უნდა რცხვენოდეთ ფუფუნებით ყოფნა ისეთ გარემოში, ისეთ ფონზე, როგორიც ახლანდელია...

სიტყვაზე, ერთი პარლამენტარი რომ ოპოზიციონერობს და თავს იკლავს, სოციალურ ჩაგვრასა და სოციალურ უსამართლობას ვებრძვიო, თავს იკლავს, პენსიონერებს პენსია 150 ლარამდე მოუმატეთო – თვითონ თავისი პარლამენტური და პერმანენტული დიდი ხელფასითა და შემდგომ „ნადეპუტატრობის" მაღალი პენსიით მონაწილე არ არის სოციალური ჩაგვრისა და უთანასწორობისა „ზემოთა მხრიდან"? ერთხელ თუ დაუყენებია საკითხი – სანამ ქვეყანა ასეთ სავალალო დღეშია, ჩვენცა და სხვა ხელისუფლებამაც შევიკვეცოთ, მოვიჭრათ ჩვენი დიდი ანაზღაურებები და სხვა პრივილეგიებიო?

სიტყვაზე, მეორე პარლამენტარიც რომ არის, რომ ქრისტიან-დემოკრატობს, ოპოზიციონერობს და ტკბილმოუბრობს ხალხის გაჭირვებაზე – ერთხელ თუ მოუვა თავში „ავტოოპოზიციონერობა" და საკუთარი სიკეთეების მოკლება? მთავრობის კრიტიკით ხალხოსნობა, „უფასო" ხალხოსნობა ადვილია, ცოტნეობა ძნელი, ანუ – გაშიშვლება, თაფლის წასმა და თაკარა მზეზე, მწერთა შესაჭმელად უბედურ თანამემამულეთა გვერდზე მიწოლა – მეც თქვენთან ერთადო...

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ იყო მოხმობილი ხელისუფლების გონიერების ქრესტომათიული მაგალითი: ერთ წელიწადს რომ ისრაელის სახელმწიფო ბიუჯეტს გაუჭირდა, ქნესეთი (იქაური პარლამენტიძ საგანგებო სხდომაზე შეიკრიბა და ერთსულოვნად დაადგინა სადეპუტატო ხელფასების მკვეთრი შეკვეცა – მდგომარეობას წაადგებაო; თუმცა ჩვენ სადა გვაქვს, ვინ მოგვცა ებრაელებისთანა ქვეყნის სიყვარული, პატრიოტობის, თვითგანწირვის, თავდადების ფ რ ა კ ი, ტანზე რომ მოვიცვათ...

ისევ პარლამენტის „მოდელზე" (რას გადავეკიდე, არა?ძ: 150 კაცმა (დეპუტატმაძ რომ ხელფასები 1000 ლარზე დაიდგინოს (რაც მაინც გაცილებით აღემატება მასწავლებლებისა, ექიმებისა თუ სხვათა მსგავსთა მათთა ანაზღაურებასძ, მაშინ, ელემენტარული გაანგარიშებით, 200 ათასი ლარი გამოთავისუფლდება თვეში და რამდენ შეჭირვებულს შეეფარება!..

ახლა მინისტრები! ერთმა ქალბატონმა მინისტრმა გოგონას გაჩენა „დაგვამადლა" (ღმერთმა ბედნიერად უმყოფოსძ და 15 ათასი ლარი პრემია გამოუწერა თავის თავს; მეორემ, რანგით ქვემომ (მინისტრის მოადგილე მამაკაცმაძ, სამჯერ „შორს წასვლით" 46 ათასი ლარი პრემია „შეიტყაპუნა" – აი ეს არის ხელისუფლება და მისი სამართალი! მერნის ჭენებასთან ერთად საზღვარი არა აქვს მდგომარეობასა თუ ძალაუფლებას მოყოლილ კადნიერებას კი არა, თავხედობას!

ახლა უცხოეთში გრიალი! და აქაც რომ პრეზიდენტია მთავარი ნიშნის მომცემი, ალმის ამქნევი და მწვანე შუქის ამნთები! აიყრებიან და – ეს საპარლამენტო დელეგაციაო, ეს სამთავრობოო, ეს საპრეზიდენტოო, ეს სამინისტროსიო; თან ჟურნალისტების ამალას რომ იახლებენ – ვითომ ინფორმაციის მოსაწოდებლად ერთი არ კმაროდეს. გაგიგონია! ყოველ სახელისუფლებო ტელეკომპანიას (მე შენ გეტყვი და ცოტა!ძ საკუთარი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს; თითქოს საცოდავი საქართველოდან კი არა, რომელიმე სვებედნიერი ქვეყნიდან იყვნენ – მაგალითად, კანადიდან... აიყრებიან და მერე „დისლოკაციის" ადგილიდან გაგვეჩითებიან ეკრანზე სათითაოდ ან ჯგუფ-ჯგუფად: ამას შევხვდით, იმას შევხვდით, ეს ვუთხარით, ის გვითხრესო – ვითომ რამე გააკეთეს. თქვე კაი პრეზიდენტის „შვილებო", თქვენი ვიზიტი თუ მართლა ნაყოფიერი გამოდგა, ამ ბედკრულ ქვეყანაში რატომ არაფერს არ ეტყობა, საზიდარი რატომ იქვე დგას კი არა, უკან-უკან რად გორდება!.. მანდედან პოლიტანგარიშის ჩაბარებას, აქედან (აქ რომ დაბრუნდებითძ ჩაგვაბარეთ (კვლავ პრეზიდენტიდან დაწყებულიძ, რა ჯდება ეს თქვენი მივლინებები ერთდროულად და ჯამურად წლიურად. კოლოსალური თანხა უნდა გამოვიდეს, ხომ? მერე, რაში ფული?..

...მომიტევოს მკითხველმა ჩემს თავზე ლაპარაკი, ეს არცთუ ლირიკული „ავტოწიაღსვლა".

ჩემს პირად ტრაგედიად მივიჩნევ, რომ აღარავისა და აღარაფრისა არა მწამს, რომ აღარა მჯერა არც „პოზიციონერისა", არც ოპოზიციონერისა, არც „ჰალუციაციონერისა"... ბურჯანაძეა თუ გაჩეჩილაძეა თუ ნათელაშვილია თუ ნოღაიდელია (ანბანის რიგზეძ თუ კიდევ სხვა – ყველას თავისი მუცლის, ანუ პრეზიდენტობის გვრემა აქვს, ძალაუფლების წყურვილითა სწყურია; ძალაუფლება კი საწამლავიაო, თქვა ერთმა ჭკვიანმა კაცმა და ვინც არ უნდა იგდოს ხელთ, იწამლება კიდევაც; როგორი დაპირებებითაც არ უნდა იგდოს, ყველა ავიწყდება უკვე ძალაუფალს.

აი, ის კი მჯერა, რომ საქართველოს სამეფოში არამცთუ ყველაფერი რიგზე არ არის – არაფერი არ არის რიგზე; რომ საქართველოში ხელისუფლება არის და იქნება ხვეჭისუფლება, ყლეფისუფლება, კვერთხისუფლება, ხლეჩვისუფლება... ბოლოს და ბოლოს, ერთი უფლება მეც ხომ მაქვს – ე ჭ ვ ი ს უფლება; ოღონდ ისიც კარგად მესმის, რომ ძალიან ბევრი რამ ჩ ე მ ი ბრალია, ჩ ვ ე ნ ი ბრალია, მაგრამ ჩ ვ ე ნ – ეს სხვა თემაა და სხვა დროს იყოს, თუ მექნება ეს დრო...

**თამაზ ებანოიძე**

## ◎ აბსურდის ქვეყანა

**აბსურდის ქვეყანაში ვცხოვრობთ, — მეუბნება ბორჯომელი მეწარმე ანზორ წიქარიშვილი. პეპელასავით გვექცევა ხელისუფლება მეწარმეებს — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდებიო, ბიზნესი არც გაზარდო და არც შეამცირო, თორემ იმდენ ჯარიმას აგკიდებ, გაკოტრებას ვერ გადაურჩებიო.**

— როგორ გეკადრებათ, ბატონო ანზორ, — არ ვეთანხმები, — საქართველომ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, როგორც ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისთვის საუკეთესო პირობების მქონე ქვეყანამ. პრეზიდენტი სააკაშვილი ნენ, მეწარმე თანხების დამალვის გამო დააჯარიმონ. ამათაც მეტი რა უნდოდათ, დამეცნენ, ნახეს, რომ გასული წლის დეკემბერში, 2008 წლის დეკემბერთან შედარებით, 300 ლარით მეტი ნავაჭრი მქონდა და 30 ათასი ლარით დამაჯარიმეს.

— თქვენი აზრით, როგორ უნდა მოქცეულიყავით, რომ კანონის მოთხოვნები დაგეცვათ, და ჯარიმისთვის თავი დაგეღწიათ?

— ამათ ჭკუას თუ დავუჯერებ (მთავრობის წევრებისა და საგადასახადო სამსახურებს ვგულისხმობ), სახინკლეში შემოსული ხალხი უნდა დამეთვა-

**მეწარმის ნაამბობში ეჭვი არ შემპარვია, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის მაინც გადავამოწმე. როგორც „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციაში“ მითხრეს, მათ ადრევე იცოდნენ ამ წესის ფარგლებში შემოსავლების სამსახურის მოქმედებები რა სერიოზულ პრობლემებსაც შეუქმნიდა ბიზნესს, რაც განაცხადეს კიდეც ოფიციალურად, მაგრამ ვინ მოუსმინა? მათი აზრით, კანონის ეს მოთხოვნა ორიენტირებულია ბიუჯეტის ყველანაირი გზით შევსებაზე, მეწარმეებისგან მორიგი მაქინაციებით ფულის წაგლეჯვაზე და არა ქვეყანაში რეალური ბიზნესის განვითარებაზე.**

# ბიზნესი თუ გაგეზარდა — შარია, თუ შეგიმცირდა — კიდევ უარესი!..

ასეთი მონაპოვრით დიდად ამაყობს და თავის სწორუპოვარი ორატორული გამოსვლებისას, მომენტს არ გაუშვებს, რომ არ წაიტრაბახოს. რომელს დაგიჯეროთ, თქვენ თუ ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს?

— პრეზიდენტს ტრაბახი უყვარს, ჩემო ბატონო, მე კი მისივე თავკაცობით მომუშავე მთავრობის მიერ შექმნილი მწარე რეალობის არტახებში ვიჭყლიტები. მარტო მე რომ ვიყო, რა უჭირდა, მთელი ბიზნესი ჰყავს დატერორებული ხელისუფლებას.

— ეს ზოგადი ლაპარაკია, იქნებ ფაქტები დაგვისახელოთ?

— ფაქტი აგერ არა ვარ? — მე და ჩემი გაკოტრებული ბიზნესი, თუკი იმას, რასაც ვაკეთებდი, ბიზნესი შეიძლება ეწოდოს.

— მაინც რას აკეთებდით?

— ბაკურიანში პატარა სახინკლე მქონდა გახსნილი, სეზონზე, ზამთრობით და ზაფხულობით, როცა ხალხი საციგურაოდ ან სიცხეს თავგარიდებული დასასვენებლად ამოდიოდა, მუშტარი არ მაკლდა, იქიდან მიღებული შემოსავლით ოჯახსაც ვარჩენდი და ბიუჯეტსაც თავის კუთვნილ თანხას ვაძლევდი.

— აბა რაღა გაქვთ საწუწუნო, ვინ ან რამ გაგაკოტრათ?

— ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოღებულმა შემოწმების ახალმა მეთოდმა გამაკოტრა. მარტო მე კი არა, ამ დრაკონული მეთოდის წყალობით მრავალი ობიექტი ჩაეფლო ვალებში.

— ასეთი რა მეთოდია?

— ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით, საგადასახადო მუშაკებს უფლება ეძლევათ სავაჭრო ობიექტი შეამოწმონ, მისი ბრუნვის ქრონომეტრაჟის შედეგები წინა წლისას შეადარონ და თუ შემოსავალში სხვაობას აღმოაჩე-



ლა და თუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მეტი აღმოჩნდებოდა, ნაწილი უკან გამეზრუნებინა ან თითოეულ სულზე შეკვეთილი 10 ხინკლის ნაცვლად 5-ზე მეტი არ მიმეცა(!ძ. თქვენ როგორ ფიქრობთ, არის ამაში ლოგიკის რაიმე ნატამალი? ალბათ არ დაიჯერებთ, მაგრამ ჩემს მეზობლად მდებარე სასტუმროს მეპატრონეც მხოლოდ იმის გამო დააჯარიმეს დიდი თანხით, რომ ამ სეზონზე გაცილებით მეტ კლიენტს მოემსახურა, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში.

— ახლა რას აპირებთ? — დავინტერესდი.

— სახინკლის დახურვას, ვალის აღებას და ჯარიმის გასტუმრებას, რათა პასუხისგებაში არ მიმცენ. სხვა რა გამოსავალი მაქვს, უჩივლებ და სამართალს მიაღწევ თუ რა? ცხადია, ბიზნესის გაგრძელების არავითარი სურვილი აღარ მაქვს.

**ჩვენი ჩიტირეკია ხელისუფლების გონიერების ამბავი რომ ვიცი,** საწარმოთა თუ სავაჭრო ობიექტთა შემოწმების „ახლად აღმოჩენილი“ მეთოდი რომ უსამართლო და უვარგისია, ამას ექსპერტებიც ვერ უარყოფენ. მათი განმარტებით, ის ფაქტი, რომ 2010 წლის იანვარში ამა თუ იმ ობიექტმა კარგად იმუშავა და მყარი შემოსავლები მიიღო, სულაც არ ნიშნავს, რომ ის ასევე წარმატებული იყო წინა წლის იანვარში. საერთოდ, ხელისუფლება, თუ მას გონიერების რაიმე ნიშან-წყალი გააჩნია, დაინტერესებული უნდა იყოს ბიზნესის ზრდა-განვითარებით და არა შემცირებით. მას, ვინც ბიზნესს აფართოებს, საკუთარ შემოსავლებსაც ზრდის და სახელმწიფო ბიუჯეტსაც, მთავრობა, როგორც წესი, უნდა ახალისებდეს, აჯილდოებდეს და არა აჯარიმებდეს.

ეს ასე ხდება ყველა ნორმალურ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ ხომ ნორმის ფარგლებში ვერასოდეს ვეტევით, იმ უბრალო მიზეზისა გამო, თავად ხელისუფლება გვყავს არანორმალური. გასაგებია, რომ ქვეყანაში კრიზისია, ეკონომიკა დაქცეულია, ჭირს დაგეგმილი ბიუჯეტის შევსება, მაგრამ ამის გამოსწორებას მეწარმეთა დატერორებისა და ფულის წაგლეჯვის გზით რომ ცდილობ, განა ეს ნორმალურია? და თუ ამას მაინც აკეთებ, გაჩუმდი მაინც შე შუბლისძარღვგაწყვეტილო, ვილაცა ხარ და ნუ ტრაბახობ.

**არა, ქვეყანა უნდა დავაქციო, ხალხი დავაშინო, სილატაკესა და სიბეჩავეს ვწიო (თუ უკვე არა სწია), თანაც ვიტრაბახო და ვიბაქიბუქო. მსოფლიომ უნდა გაიგოს (თუ ჯერ არ გაუგია), რომ საქართველო არის მთელ დუნიაზე პირველი დემოკრატი სახელმწიფო, პირველი რეფორმატორი და პირველი ბიზნესმენი!!!**

**ვისი ხელწერაა, არ გეცნოთ?!**

**ოთარ ხუციშვილი**

## ◎ პრობლემა

# რაღაა იგი სინათლე...

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით ბაქრაძეს, ქალაქ თბილისის მერს ბატონ გიგი უგულავას**

ბატონებო,

ქალაქ თბილისის მერიამ, უდავოდ, უნიკალური პროექტი წამოიწყო — „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, რომელიც საშუალებას აძლევს უამრავი ავარიული ბინის მეპატრონეებს, ახალ ბინაში გადავიდნენ და უკეთესი საცხოვრებელი პირობები შეიქმნან.

კიდევ ვიმეორებ: ეს არის ჭეშმარიტად სახალხო პროექტი, რომელშიც გაცხადებულია ზრუნვა თბილისის მაცხოვრებელთა ხვალინდელ დღეზე.

ამ წამოწყების სიკეთე უკვე იგრძნეს იმათ, რომლებიც თავიდანვე ჩაერთნენ პროექტში და დღეს ახალი ბინების მფლობელები არიან დედაქალაქის სხვადასხვა კუთხეში. მაგრამ, „რაღაა იგი სინათლე, რასაც ახალავს ბნელია“?

ბატონებო, პროექტმა პირდაპირ ნერვები დააწყვიტა ძველი თბილისის რაიონის ბევრ მობინადრეს. საქმე ის არის, რომ თითქმის ყველა ძველთაძველ სახლში თუ ეზოში გამოჩნდა ერთი-ორი გაჯიუტებული, რაღაც უკეთესის მომლოდინე მეზობელი, რომელიც თავისი ხუშტურებით, წინ უდგება უამრავი მეზობლის ნებას და, როგორც სამშენებლო კომპანიები აცხადებენ, ყველაფერი იშლება, კანონი, ვაი რომ, იმ გაჯიუტებული მოსახლის მხარესაა...

ადამიანის უფლებები ირღვევაო! კი მაგრამ, დალოცვილებო, ერთი ადამიანის უფლებებს რატომ უნდა ეწირებოდეს რამდენიმე მოსახლის უფლება?!

რედაქციაში უამრავი წერილი შემოდის, რომლებშიც მოქალაქეები მოითხოვენ, რომ ბოლოსდაბოლოს, სამართალმა პური ჭამოს! როგორც გავიგეთ, პარლამენტში უკვე მზადაა კანონპროექტი, რომელიც, ეტყობა დაარეგულირებს ყოველივეს და ამ „მიზეზიან“ მეზობლებს, თავის ადგილზე „დასვამს“, მაგრამ როდისღა?! ამასობაში, ალბათ, ეს უნიკალური პროექტიც მორჩება. არადა, წარმოიდგინეთ, თბილისის მერის საარჩევნო კამპანიის ჟამს რამდენი ოჯახი იქნება თქვენი კმაყოფილი, რამდენი ამომრჩეველი შეგემატებათ კიდევ ერთი სამართლიანი გადაწყვეტილების გამო. არადა, რა გასაკვირია, რომ მოხდეს პირიქით...

ჰოდა, იმედია, სასწრაფოდ მიიღებთ კანონს, რომელიც „გააშველებს“ ნერვებდაწყვეტილ მეზობლებს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◎ ლიტერატურული საღამო

# „წუთისოფელი ყოფილა ასე...“

**თიანეთში, მირზა გელოვანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში, ამ დღეებში, უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. აქ მუზეუმისა და ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ინიციატივით და მუნიციპალიტეტის გამგეობის (გამგებელი გოგა აბაშვილი) თანადგომით, კიდევ ერთი ლამაზი ლიტერატურული საღამო გაიმართა.**

„წუთისოფელი ყოფილა ასე“... აწ გარდაცვლილი პოეტის გიორგი მინდიკაურის ეს სიტყვები დაედო დედააზრად ღონისძიებას, რომელიც მიეძღვნა თიანელი პოეტების: ალაზა ხაიაურის, ელიზბარ, თინა, გია, ნიკო, ბესო მგელიაშვილების, თემო ცალუღელაშვილის, შალვა ჭოლიკაურის, გიორგი შეთეკაურის, გიორგი ხახიაურის, მიშიკო ერიაშვილის, იოსებ აფციაურის, სერგო ფოფხაძის, ვახტანგ ბეწუკელის, ეთერ თარიმანაშვილის და დიდი მირზას ხსოვნას. ერთგვარად სიმბოლური იყო ის, რომ ამათგან უმეტესობა მუშაობდა ან თანამშრომლობდა მირზას მუზეუმთან.

ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობდნენ თიანეთის პირველი, მე-2, სოფლების: ახალსოფლისა და ჟებოტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ღონისძიება დაამშვენა ფოლკლორულმა ანსამბლმა „კოკროჭინამ“ ნინო მიჯახტაშვილის ხელმძღვანელობით.

ზაქრო აქიმიშვილმა, შალვა ჭინჭარაულმა, არმაზ ჭურჭელაურმა, პოეტმა ეთერ აბრამიშვილმა, გამგეობის წარმომადგენელმა ქეთევან შარმიაშვილმა თავიანთი გამოსვლით მეტი ხიბლი შემატეს ღონისძიებას და აქვე აღნიშნეს მუზეუმის (დირექტორი ციცინო გაბიდაური) თანამშრომელთა ღვაწლი: ხელი შეუწყონ და სულიერი საზრდო მიაწოდონ რაიონის ახალგაზრდობას, რათა ასეთი თანადგომით უკეთესი მარცვალი ჩადონ მათში, შეაყვაროს მათ ქართული პოეზია, ფოლკლორი, ჩვენი ქვეყნის ისტორია, ასწავლოს მომავალ თაობას წინაპართა სასიკეთო საქმეები.

...საღამო მირზას ბუხართან გვიანობამდე გაგრძელდა...

**თამარ ზვიადაური,**

**ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი**

## ◎ ინფორმაცია

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 5 წელი გავიდა




**საქართველოს** ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან ხუთი წელი გავიდა. ზურაბ ჟვანიას ნათესავები, ახლობლები, მეგობრები და ოფიციალური პირები ყვავილებით შეამკობენ მის საფლავს.

ზურაბ ჟვანია 2005 წლის 3 თებერვალს გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი აირის გაჟონვა სახელდება. თუმცა გენერალურ პროკურატურაში გამოძიება ჯერ არ დასრულებულა და დამნაშავეთა შესახებ კითხვები კვლავ უპასუხოდ არის დარჩენილი. მისი ცხედარი პირადი დაცვის წევრებმა, თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე, ერთ-ერთ ბინაში აღმოაჩინეს. მასთან ერთად ბინაში იმყოფებოდა ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდა წარმომადგენელი რაულ უსუპოვი, რომლის ცხედარი ახლობლებმა მშობლიურ სოფელში დაკრძალეს.

ზურაბ ჟვანია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონშია დაკრძალული.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# EUTELSAT-ი მოსკოვის ზემოქმედებას დანებდა

**საქართველოში ამას წინათ შექმნილმა სახელმწიფო რუსულენოვანმა ტელეარხმა „პირველმა კავკასიურმა“ მუშაობა შეწყვიტა. მიზეზი, როგორც ოფიციალური თბილისი ამტკიცებს, – „ზემოქმედება რუსეთის მთავრობის მხრიდან“**

„პირველი კავკასიური“ ეთერში გაჩნდა ორი კვირის წინათ. მისი პროგრამების ტრანსლირება ხდება საფრანგეთის სათანამგზავრო ოპერატორით Eutelsat, მისი ბაზაა პარიზში, სადაც მოქმედებს სათანამგზავრო მომსახურების წამყვანი ევროპული პროვაიდერი.

საქართველოს ხელისუფლება, სწორედ ამ კომპანიას სდებს ბრალს მაუწყებლობის შეწყვეტაში. ეს კომპანია, თბილისის რწმენით, სთავაზობდა თავის მომსახურებას რუსეთის ცენზურას.

კომპანიის ხელმძღვანელობა თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ რუსეთის ზემოქმედება აქ არაფერ შუაშია და რომ სინამდვილეში ქართული არხის ტრანსლაცია ხდებოდა მჭიდრო რეჟიმში: დაიწყო და დამთავრდა იგი შეთანხმებულ დღეებში.

„პირველ კავკასიურთან“ კონტაქტები ჯერ არ გაფორმებულა, მოლაპარაკება ამასთან დაკავშირებით გრძელდება. „ჩვენი თვალსაზრისით, არ არსებობს მიზეზები, რომლის მიხედვითაც ჩვენ არ შეგვიძლია მოვაწეროთ ხელი კონტრაქტს“, – ფრანს პრესის სააგენტოს მოჰყავს ოპერატორის ვანესა ო'კონორის სიტყვები.

როგორც კი კონტრაქტს ხელი მოეწერება, დაუმატა მან, „პირველი კავკასიურის“ მაუწყებლობა აღდგება.

2008 წლის აგვისტოდან, როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის გაჩაღდა საბრძოლო მოქმედებანი, მეზობლებს შორის არ წყდება პროპაგანდისტული ომი.

2010 წლის იანვრის შუა რიცხვებიდან თბილისმა ეთერში გაუშვა რუსულენოვანი არხი, რომელიც ახორციელებდა სათანამგზავრო და ინტერნეტ მაუწყებლობას. გასულ უქმე დღეებში კი, როდესაც მისი მუშაობა შეწყდა, საქართველოს ხელმძღვანელობამ ამაში ბრალი დასდო ზემოხსენებულ კომპანიას, რომ იგი „რუსეთის ცენზურის ინსტრუმენტია“.

ამ ფრანგულმა კომპანიამ, ქართული მხარის განმარტებით, დადო მეტად ხელსაყრელი კონტრაქტი რუსულ ფირმა „ინტერსპუტნიკთან“, რომლის ერთ-ერთი კლიენტიც არის სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი „გაზპრომ მედიას“ ჯგუფი.



„რუსეთის სათანამგზავრო კომპანია „ინტერსპუტნიკთან“ დიდი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ 14 იანვარს Eutelsat-მა გადაწყვიტა, შეეწყვიტა „პირველი კავკასიურის“ ტრანსლაცია, – ნათქვამია ქართული არხის განცხადებაში.

ამრიგად, განაგრძობენ ავტორები „კრემლის შემდგომი სარედაქციო ხაზები „ინტერსპუტნიკი“ და „გაზპრომ მედია“ დე ფაქტო ქმნიან სათანამგზავრო მაუწყებლობის მონოპოლიას რუსულენოვან აუდიტორიაზე“.

მაგრამ ფრანგული კომპანიის წარმომადგენელი უარყოფს ამ მტკიცებას, აღნიშნავს, რომ „ინტერსპუტნიკი“ არის საფრანგეთის ოპერატორის კლიენტი უკვე რამდენიმე წელიწადია, ხოლო ხელშეკრულება, რის შესახებაც გამოცხადდა ამას წინათ, – ეს მხოლოდ „კონტრაქტის გაფართოებაა“.

ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტის ტომ ესლმონტის სიტყვებით, საქართველო აშკარად უკმაყოფილოა მისი სატელევიზიო პროექტის რეალიზაციის გზაზე წამოჭრილი წინააღმდეგობით, რისი მიზანიცაა – უზრუნველყოს იმ ადგილების მცხოვრებთა მიუკერძოებელი ინფორმირება, რომლებშიც ერთადერთი წყარო რუსეთის სახელმწიფო ტელემაუწყებლობაა.

„პირველი კავკასიურის“ მუშაობაში ჩართული არიან ცნობილი ჟურნალისტები, რომლებსაც ანტიკრემლური პოზიცია უკავიათ, რამაც გამოიწვია მოსკოვის უკმაყოფილება. იგი არხს პროპაგანდისტულს უწოდებს.

რამდენად სამართლიანია ეს ბრალდებანი, ძნელი სათქმელია, აღნიშნავს ბი-ბი-სი-ს კორესპონდენტი: რუსულენოვანი ქართული ტელევიზია ძალიან ახალგაზრდაა იმისთვის, რომ გააკეთდეს რაიმე სერიოზული დასკვნა მისი მაუწყებლობის ხარისხის შესახებ.

BBC RUSSIAN.com

# ქართული რევოლუციის ვარდის დამჭკნარი ფურცლები

**ექვსი წლის წინათ, 2004 წლის 25 იანვარს მიხეილ სააკაშვილმა პირველად დადო საქართველოს პრეზიდენტის ფიცი. ეს იყო იმედებისა და მოლოდინის დღე. როგორც იქნა, ჩვენს ქვეყანას უნდა მიეღო პრეზიდენტი, რომელიც ჭეშმარიტად იქნებოდა ერთგული დემოკრატიისა და შეეძლებოდა, ბოლო მოეღო კორუფციისთვის, განეხორციელებინა საქართველოს ტერიტორიის მშვიდობიანი გაერთიანება**

პირველ ხანებში ეს იმედები გამოიყურებოდა გამართლებულად. ერთი გამოყოფილი პროვინცია – აჭარა – უარს ამბობდა სეპარატიზმზე, კიდევ ორი – აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი – გამოიყურებოდნენ ისე, თითქოს ისინიც შეუერთდებოდნენ აჭარის მაგალითს. მე გავხდი საგარეო საქმეთა მინისტრი ახალ მთავრობაში და უზრუნველვყავი ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. კორუფცია მოვ-



თოკეთ, შედეგად გადასახადების მოცულობა შემცირდა, სახელმწიფოს შემოსავლები გაიზარდა. მაგრამ უკვე ამ ადრეულ დღეებში შეინიშნებოდა წინასწარი ნიშნები იმისა, თუ რა უნდა მომხდარიყო. პრეზიდენტის უფლებამოსილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ჩვენი პოლიცია რადიკალურად განიცდიდა რეფორმაციას, მაგრამ თანდათან მან დაიწყო უდანაშაულო ხალხის დახვრეტა ბანდიტიზმთან ბრძოლის სახელით. ამავე დროს პრეზიდენტმა უმალვე აჩვენა, რომ მას არ ჰყოფნის მოთმინება, მიაღწიოს მყარ ლოიალობას პოტენციური სეპარატისტებისგან.

ამჟამად იმ მომენტიდან, რაც მან ფიცი დადო, გავიდა ორიათასზე მეტი დღე და ბევრი, მათ შორის არა მხოლოდ საქართველოში, გაოცებულია იმ კონტრასტით, რომელიც გაჩნდა ყოფილ მოელვარე ოპტიმიზმსა და დღევანდელ შეზღუდულ, თავისუფალი პრესის რეალობას შორის, ძლიერ სოციალურ ფენებად დაყოფა, ოკუპირებული ტერიტორიები და ეკონომიკური კრიზისი.

ევროპელი და ამერიკელი გადასახადების გადამხდელები საქართველოში მსხვერპლად იღებენ დაახლოებით მილიარდ-ნახევარ დოლარს წელიწადში, რაც მას ხდის უცხოური დახმარების ერთ-ერთ დიდ მიმღებად მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით. მას შემდეგ რაც ორგანიზაცია „ფრიდომ ჰოუსმა“ აღიარა, რომ საქართველო ძველებურად აღარ არის რჩეული დემოკრატია და რჩება სასამართლო კორუფციების ქვეყნად, სადაც ეს კორუფცია ექვემდებარება საარჩევნო სისტემას და პროპაგანდისტულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მე მრცხვენია ჩემი ქვეყნის გამო და უკმაყოფილო ვარ სააკაშვილის მართვის შედეგებით.

ორი წლის წინათ მან კვლავ დადო ფიცი გამარჯვების შემდეგ არჩევნებზე, რომელიც გამოირჩეოდა დაშინებითა და კორუფციით, მას წინ უძღოდა მშვიდობიანი დემონსტრაციების ძალისმიერი დაშლა 2007 წლის ნოემბერში. ამის შემდეგ მან მიიღო მონაწილეობა სრულიად უსაფუძვლო ომში და წააგო იგი, მსხვერპლად გაიღო ქართველების სიცოცხლე და ქვეყნის ერთი მეხუთედი ნაწილი რუსეთის ოკუპაციის ქვეშ დატოვა. ჩვენს თვალწინ იზრდება სიღარიბე და უმუშევრობა, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიის დროს პრეზიდენტი გვპირდებოდა, რომ გაიმარჯვებდა ერთზეც და მეორეზეც. ამჟამად ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უფრო ნაკლებად თავისუფალი არიან, ვიდრე ოდესმე, ჩვენ გადავიქეცით მეორე თანრიგის პოსტსაბჭოთა ქვეყნად.

ჩვენი პრეზიდენტი აღმერთებს თავის მოწონებას საერთაშორისო არენაზე. ამას წინათ ის ჩაერთო უკრაინაში საპრეზიდენტო კამპანიაში. ის გვარწმუნებდა, რომ საქართველოს მთავრობა არ ჩარეულა უკრაინის არჩევნებში, ჩვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უგულებელყოფენ იმ ცხად ფაქტს, რომ „უკრაინის ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ მიგვიყვანა სიცოცხლისუნარიან დემოკრატიამდე მაშინ, როდესაც ჩვენი ვარდების რევოლუცია გაყიდული აღმოჩნდა. ჩვენი ქვეყანა თანდათანობით ხდება არათავისუფალი საზოგადოება მინისა და ბეტონის ფასადს მიღმა. მიხეილ სააკაშვილმა აღმართა დაუნდობლობა, რაც დამახასიათებელია წინასაარჩევნო ბრძოლის ტაქტიკისთვის, რამაც იგი პრეზიდენტი გახადა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ვერ გაიზარდა და არ გააჩნია უნარი გაიგოს: მთავრობა რომ გახდეს უნარიანი და ეფექტიანი, მას სჭირდება ოპოზიცია და პასუხისმგებლობა.

შედეგად ჩვენ მივიღეთ ქვეყანა, სადაც ისტორია, როგორც ჩანს, აღმა წავიდა. ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ დიქტატურა, მაგრამ ტენდენცია ცხადია. დღეს – ზუსტად ისე, როგორც კომუნისტების დროს – სახელმწიფოს მეთაურის შემდეგ მეორე პირად საქართველოში ითვლება შინაგან საქმეთა მინისტრი. კონსტიტუციური უშიშროების დეპარტამენტი, უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის პირდაპირი მემკვიდრე, ფაქტობრივად, თავისუფალია სამართლებრივი შეზღუდვებისგან. მისი თანამშრომლები უპირატესობას ანიჭებენ დაშინებას და არა იმას, რომ ძალის დემონსტრირება მოახდინონ პირდაპირ. მათ არ ეშინიათ ისროლონ და იციან, რომ შეუძლიათ გააკეთონ ეს დაუსჯელად. გასული წლის ივნისში უკანონო იარაღით ესროდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს, მთავრობამ გადაწყვიტა არ გაეთავისუფლებინა დამნაშავეები.

მოსახლეობამ რომ არ მიაქციოს ყურადღება იმას, რაც ქვეყანაში ხდება, საჭიროა საგარეო დაშინება. ამიტომ პრეზიდენტი აგრძელებს რუსი დათვისთვის გვერდში პროპაგანდისტული ჯოხით ჩხვლეტას. ყოველ კვირას მიშა წარმოთქვამს სიტყვას „მტრის“ შესახებ და მოგვიწოდებს, ვემზადებოდეთ ომისთვის: ამას წინათ მან პირობა დადო – მოამზადოს ყველა ქართველი მოსწავლე იმისთვის, რომ მათ შეეძლოთ იარაღის ხმარება. ამავე დროს ის ფულს ხარჯავს რუსულენოვან სათანამგზავრო არხზე, რათა გასცეს გარანტია, რომ მოსკოვმა ეს კარგად გაიგონოს. პასუხად, როგორც მოსალოდნელია, დათვი ბრდღვინავს, რის შემდეგაც კმაყოფილი მიშა კიდევ ერთხელ ჩხვლეტს მას.

დასავლეთი შეშფოთებულია ამის გამო, მაგრამ ის ჯერჯერობით სდუმს. როგორც ჩანს, დასავლეთში კვლავ ფიქრობენ, რომ სააკაშვილი იცავს სტაბილურობას ქვეყანაში. მაგრამ ეს არ არის სტაბილურობა, ეს არის ბალანსირება ცალ ფეხზე უფსკრულის პირას.

საქართველო რომ გამოვიდეს ამ მახედან, დასავლეთმა უნდა დაიწყოს მოქმედება. ყოველი დოლარიდან დაახლოებით 5 ცენტი, რაც საქართველოში შემოდის, შემოდის შეერთებული შტატებიდან, ევროპიდან ან საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან დახმარების ან შეღავათიანი კრედიტების სახით. ამ ფულის გარეშე ჩვენი მთავრობა პარალიზებული იქნებოდა, ამ ფულით კი რეჟიმმა შეიძლება განაგრძოს არსებობა საქართველოში მონობის დროსაც კი.

დროა, გაიგოს სააკაშვილმა, რომ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი.

openDemocracy free thinking for the world

## დედამიწის ზურგზე



**ახალზელანდიელმა გოგონამ საცურაო ფიცრით მოიგერია ზვიგენის თავდასხმა**

14 წლის ლიდია უორდი თავის ძმასთან ერთად ბანაობდა პლაჟის მახლობლად, როდესაც ზვიგენმა მას ფეხზე უკბინა. გოგონა არ დაიბნა და მთელი ძალით ჩაარტყა მტაცებელს ბოდიბორდი, რის შემდეგაც ამოხტა წყლიდან.

* * *

**ისრაელის პლაჟებზე თავიდან აიცილეს მცურავი ბომბების აფეთქება**

მცურავი ასაფეთქებელი მოწყობილობანი, რომლებსაც მართავდნენ დისტანციურად, აღმოაჩინეს აშკელონისა და აშდოდის რაიონში. ანალოგიურად მოხდა ასეთი ნივთიერებების ამოღება იანვრის ბოლოს. ძირითადი ვერსიით, პალესტინელ ტერორისტებს ღაზის სექტორიდან სურდათ სამაგიერო გადაეხადათ „ჰამასის“ ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობის გამო, რაშიც ბრალს ისრაელის დაზვერვას სდებენ.



* * *

**ხმელთაშუაზღვის ფსკერზე ჩაუშვეს რობოტი ჩამოვარდნილი ეთიოპური ლაინერის ფრაგმენტების ფოტოგადაღებებისთვის**

ბორტული თვითჩამწერების აღმოჩენის შემთხვევაში ზღვის ფსკერზე ჩაუშვებენ მტვირთავ რობოტს, რომელიც ამოიღებს „შავ ყუთს“ ამერიკული საკვლევი გემიდან.

* * *

**გაერომ ჰაიტის მცხოვრებლები დაასაქმა ნაგვის გატანასა და ნანგრევებისგან გაწმენდაზე მიწისძვრის შემდეგ**



ამრიგად დასაქმდა უკვე 32 ათასზე მეტი ჰაიტელი. თითოეულს ექვსი საათის შრომისთვის დღეში უხდიან ხუთ დოლარს. სულ გათვალისწინებულია ასი ათასამდე კაცის შრომითი მოწყობა.

* * *

**სომალელმა მეკობრეებმა ბერძნული გემი სამ მილიონ დოლარად გაათავისუფლეს**

არსებული ინფორმაციით ეკიპაჟის 22 წევრი თავს კარგად გრძნობს. ქიმიური სასუქებით დატვირთული გემი მიდიოდა კენიის ნავსადგურ მომბაბისკენ. მეკობრეებმა გემი ხელში ჩაიგდეს 2009 წლის 11 ნოემბერს სეიშელის კუნძულებიდან 400 საზღვაო მილში.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?




არანაკლებ საჩვენებელია სტალინის პოზიცია, რომელიც მან დაიკავა კომუნისტური კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებით. გენერალისიმუსი არც ფიქრობდა კორეის ჩრდილოეთისა და სამხრეთის გაერთიანებაზე, მას სავსებით აძლევდა ხელს სტატუს-კვო, რაც გამოხატავდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გეოპოლიტიკურ თანასწორობას შორეულ აღმოსავლეთში. მაგრამ ჩრდილოეთ კორეის კომუნისტების ლიდერი კიმ ირ სენი თავად გამოვიდა კორეის სამხრეთის „გათავისუფლების“ ინიციატივით. თანაც ამაში მას მხარს უჭერდა იგივე მაო ძედუნი, რომელიც, როგორც სტალინი ვარაუდობდა, ხდებოდა უზარმაზარი გეოპოლიტიკური პრობლემა სსრ კავშირისთვის. არსებითად, საბჭოთა კავშირს ითრევენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დიდ სახიფათო დაპირისპირებაში, რაც სტალინს არაფრით არ უნდოდა. აქ წარმატება დამარცხების ტოლფასი იქნებოდა. ორი კორეის გაერთიანება კიმის ხელისუფლების ქვეშ მიგვიყვანდა „სოციალისტურ ბანაკში“ კიდევ ერთი მძლავრი, პოტენციურად ალტერნატიული ცენტრის შექმნამდე. ამ ცენტრს შეეძლო შეექმნა გრანდიოზული გეოპოლიტიკური ტანდემი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რაც სსრ კავშირისთვის გიგანტური პრობლემა გახდებოდა.

აქამდე, როგორც სხვა დროსაც ბევრჯერ, სტალინი აღმოჩნდა რთულ და ორაზროვან მდგომარეობაში. კიმისა და მაოსთვის რომ მხარი არ დაეჭირა, ეს ნიშნავდა – თავის წინააღმდეგ აემხედრებინა „შესანიშნავი სულის პატრონი“ კომუნისტების მასები, ჩამოეხსნა „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ხელსაყრელი ნიღაბი. ამიტომ სტალინმა გადაწყვიტა მიელო პოზა, რომ ყოველმხრივ უჭერს მხარს ორ კომუნისტურ ლიდერს, მაგრამ ამავე დროს არ უწევს მათ ნამდვილ ქმედითს დახმარებას. ხრუშჩოვი გაოცებული კითხულობდა თავის „მოგონებებში“: **„ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, როცა კიმ ირ სენი ემზადებოდა ლაშქრობისთვის, რატომ გამოიწვია სტალინმა ჩვენი მრჩევლები, რომლებიც ადრე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის დივიზიებში იყვნენ... მან გამოიწვია ყველა სამხედრო მრჩეველი, რომლებიც კონსულტაციებს უწევდნენ კიმ ირ სენს და ეხმარებოდნენ მას არმიის შექმნაში“.**

კიმის ლაშქრობა ჩაიშალა, შემდეგ კი სამხედრო განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მთელი რესპუბლიკაც – ამერიკის ჯარებმა გადალახეს 38-ე პარალელი, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს ჰყოფდა. რას აკეთებდა სტალინი? განიცდიდა „თავისი თანამებრძოლის“ წარუმატებლობას? სულაც არა. „როდესაც ასეთი საფრთხე გაჩნდა, სტალინი უკვე შეურიგდა იმას, რომ ჩრდილოეთი კორეა განადგურდება და რომ ამერიკელები მოვლენ ჩვენს სახმელეთო საზღვარზე. კარგად მახსოვს, როგორც თქვა: **„რას იზამ, ახლა შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი მეზობელი ამერიკის შეერთებული შტატები იქნება. ისინი იქ მოვლენ, მაგრამ მათთან ჩვენ არ ვიომებთ“**. სავსებით შეესაბამება სტალინის გეოპოლიტიკურ სულისკვეთებას. მისთვის წინასწარგანჭვრეტადი ამერიკელების მეზობლობა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე კომუნისტური ავანტიურისტების მეზობლობა.

შემდგომში კიმის დასახმარებლად წავიდა მაო ძედუნი, რომელმაც წამოაყენა წინადადება, კორეაში ჩინეთის მოხალისეთა ჯარები გაეგზავნათ. სტალინი პირდაპირ არც ახლა წასულა წინააღმდეგი, თუმცა მოხალისეებისთვის სერიოზულ დახმარებაზე უარი თქვა. მაშინ **„მაო ბლეფზე წავიდა. მან სტალინს უპასუხა, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრების უმრავლესობა ჯარების გაგზავნის წინააღმდეგია. სიტუაციის დეტალური ახსნისთვის მოსკოვში სასწრაფოდ გაფრინდა ჯოუ ენლაი (ჩინეთის სახალხო-რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი – ა.ე.). ჯოუს შეხვედრა სტალინთან გაიმართა 10 ოქტომბერს სოჭში. მაოსგან მიღებული ინსტრუქციის თანახმად, ჯოუმ ფაქტობრივად ულტიმატუმი წამოაყენა. ჩინეთი, ეუბნებოდა ის სტალინს, გაგებით მოეკიდება სსრ კავშირის სურვილს, თუ რუსეთი... უზრუნველყოფს იარაღის მიწოდებას და მხარს დაუჭერს ჰაერიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში პეკინი იძულებული იქნება, უარი თქვას ოპერაციაზე. ჯოუ ენლაის გასაოცრად და თავზარდასაცემად, სტალინმა მხოლოდ თანხმობის ნიშნად დაიქნია თავი. ვინაიდან, განაცხადა მან, ასეთი დახმარება ჩინეთის ძალ-ღონეს აღემატება, დაე კორეელებმა თავად გადაწყვიტონ პრობლემა. კიმ ირ სენს შეუძლია აწარმოოს პარტიზანული ომი („მაო ძედუნი“).**

შედეგად ჩინელები წავიდნენ საომრად სსრ კავშირის მხრიდან არსებითი დახმარების გარეშე. მათ, რასაკვირველია, შეძლეს გადაერჩინათ კომუნისტური ფხენიანი, მაგრამ კიმის ავანტიურამ მარცხი განიცადა. ამ დროს ჩინელმა მოხალისეებმა დიდი ზარალი განიცადეს (ბრძოლაში დაიღუპა მაოს შვილიც). სტალინმა შეძლო თავიდან აეცილებინა გრანდიოზული, მიკრორეგიონალური გეოპოლიტიკური რევოლუცია.

პრინციპულად სტალინის საგარეო პოლიტიკა იდეალური იყო. ნებისმიერი ნაბიჯი „მარცხნივ“ ან „მარჯვნივ“ იმუქრებოდა ან მემარცხენე ავანტიურიზმში გადავარდნით, ანდა ყველა სახელმწიფოებრივი პოზიციის დათმობით. სტალინი არ ემორჩილებოდა დასავლეთს, მაგრამ მასთან არც რევოლუციურ კონფლიქტზე მიდიოდა. ის, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გამოდიოდა მრავალპოლარული მსოფლიოს მხარდასაჭერად. მრავალპოლარულის არა მხოლოდ ცივილიზაციურის, არამედ იდეოლოგიურის თვალსაზრისითაც. ეს კურსი მიჩნეული უნდა იქნეს შინაპოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად.

### კონტრრევოლუცია: ცოტა თეორია

შევეცადოთ, გავერკვეთ რევოლუციისადმი სტალინის დამოკიდებულების სპეციფიკაში. რევოლუცია, ისევე როგორც ნებისმიერი მოვლენა ბუნებასა და საზოგადოებაში, უნდა განვიხილოთ დიალექტიკის „განვითარების შესახებ მეცნიერების“ თვალსაზრისით. როგორც ნებისმიერი სხვა „რამ“, რევოლუციას აქვს თავისი საკუთარი წინააღმდეგობა, რომელიც განვითარების პროცესის კვალობაზე აქტიურად მოქმედებს მასზე, ძლიერდება და საბოლოოდ მივყავართ ერთგვარ ჰიბრიდთან. წარმოიქმნება კონტრ-რევოლუცია (სწორედ ასე – დეფისით), რომელიც ხასიათდება „ძველისა“ და „ახლის“ უცნაური შეხამებით. თანაც ამ საწყისთა შეფარდება შეიძლება სულ სხვადასხვანაირი იყოს. ზოგჯერ ხდება ისე, რომ რევოლუცია იწყებს თავისსავე წინააღმდეგ ბრძოლას, იყენებს რაღაც ახალ სოციალურ და პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, რომლებიც წარმოიქმნება პროცესის საწყის ეტაპზე. ყველაზე ცნობილი მაგალითებია – ო.კრომველის კანცლერობა, ნაპოლეონის იმპერია, სტალინის მმართველობა. სამივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კონტრრევოლუციური პროცესების ზრდას თავად რევოლუციის განვითარების კვალობაზე.

რევოლუცია ხდებოდა სულ უფრო კონსერვატიული და ეროვნული, იშორებდა სხვადასხვა ნიჰილისტურ ფენებს, ცდილობდა, დაეტოვებინა მხოლოდ ის „ახალი“, რომელიც ხელს უწყობდა ქვეყნისა და ერის განმტკიცებას. მთლიანად, ასეთი ევოლუცია გასაკვირი როდია. რევოლუცია მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, როდესაც მმართველ ელიტას სრულიად აღარ შეუძლია სახელმწიფოს მართვა, ესე იგი ობიექტურად (თავისი სურვილის მიუხედავად) გადაიქცევა ანტიეროვნულ ძალად. ამიტომ ნებისმიერი რევოლუცია ობიექტურად ეროვნულია იმ თვალსაზრისით, რომ ძლევს წინააღმდეგობებს ერის გზაზე, აძლევს მას წინსვლის საშუალებას. სხვა საქმეა, რომ რევოლუცია თავისი გზის მიმართულებას ირჩევს არასწორად და მხოლოდ მერე შეაქვს მასში საჭირო კორექტივები. შეიძლება ასეც ითქვას – ნებისმიერი რევოლუცია განწირულია იმისთვის, რომ დაიწყოს როგორც ანტიეროვნული, უპირატესად, პროცესი. რატომ? ეს განსაკუთრებული საკითხია.

საკითხის მთავარი არსი ისაა, რომ ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე გადაგვარებული და ანტიეროვნული რეჟიმი („წყობილება“, „წესრიგი“) არის არა ჭუჭყიანი წამონაზარდი ეროვნული ორგანიზმის სხეულზე, როგორც რევოლუციონერები ფიქრობენ, არამედ მისი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი. არ შეიძლება შეცვალო წყობილება და არ დაანგრიო საზოგადოება. ყოველი რევოლუციის დასაწყისში ხდება ყველაფრის და ყოველივეს გადადნობა, რომლის დროსაც სიკვდილი წარმოქმნის ახალ სიცოცხლეს. ესაა სწორედ „რევოლუციის ის საშინელება“, რომელიც აშინებს კონსერვატორებს, მაგრამ ურომლისოდაც (ვაი რომ!) ერს არ შეუძლია ცხოვრება.

მაშ ასე, რევოლუციის საწყის, ქაოსურ ეტაპზე პატრიოტები, რომლებიც შემოქმედებაზე, ქვეყნის გაძლიერებაზე ფიქრობენ, მის სათავეში მოსვლას ვერ ახერხებენ. პატრიოტი, რომელიც „კლავს“ თავის ერს, თუნდაც კეთილი სურვილით – ნონსენსია.

მას, რასაკვირველია, შეუძლია და დიალექტიკურადაც უნდა შეუხამოს ერთმანეთს ნგრევა და შენება, მაგრამ პოზიტივი მაინც დომინირებულ მდგომარეობაში იქნება. ამიტომ რევოლუციის ხელმძღვანელობა დამანგრეველ ეტაპზე შეუძლიათ მხოლოდ ნიჰილისტებს. რევოლუციას ისინი უმალვე ანიჭებენ „არასწორ“, „ანტიეროვნულ“ მიმართულებას, რომელსაც შემდეგ ცვლის რევოლუციონერების ახალი კოჰორტა.

ეს ხდება მაშინ, როდესაც რევოლუცია იწყებს კონტრრევოლუციად გარდაქმნას, თრგუნავს თავის ნიჰილისტურ საწყისს, მაგრამ ამავე დროს უარს არ ამბობს ძველი ფორმების რესტავრაციაზე. მაშინ და მხოლოდ მაშინ არენაზე შეუძლიათ გამოვიდნენ ნამდვილი პატრიოტები, ნოვატორული ყაიდის კონსერვატორები, კონსერვატიული რევოლუციონერები. მათ უჩნდებათ შანსი, გახდნენ რევოლუციონერები თავად რევოლუციის მიმართ, მოთოკონ იგი, წარმართონ საჭირო მიმართულებით.

მაშასადამე, პატრიოტებსა და რევოლუციონერებს არ შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციას მის პირველ ეტაპზე. მაშინ ჩნდება შეკითხვა – როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში? უფრო სწორი ხომ არ იქნებოდა მისი მკაცრი ოპოზიციის შენარჩუნება?

მართლაც, ბევრ პატრიოტს პრაქტიკულად ყოველთვის უჩნდება სურვილი დაიკავოს ადგილი რეაქციის კონტრრევოლუციის რიგებში, რომელიც აპელირებას ახდენს პოზიტივზე, ააშკარავებს რევოლუციონერების ნიჰილიზმს – რაც სრულიად გამართლებულია. მაგრამ რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს (ერთი შეხედვით), ამ შემთხვევაში პატრიოტი ობიექტურად, თავისი სურვილის მიუხედავად, იკავებს ანტიპატრიოტულ პოზიციას. რევოლუცია ხომ ანადგურებს იმას, რაც უკვე დალპა საბოლოოდ. გზას უხსნის შემდგომ განვითარებას. ამისთვის წინააღმდეგობის გაწევა – უაზრო და საზიანოა. შეიძლება ადვილად აღმოჩნდე შენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეების კმაყოფაზე, რომლებიც შეშფოთებული არიან ახალი ზღუდეებისკენ მისი გარღვევის შესაძლებლობით (ასეთი გარღვევა აუცილებლად ხდება. მაგალითად, ინგლისისა და რუსეთის რევოლუციებმა, ყველა თავისი მავნე ნიჰილისტური შედეგების მიუხედავად, მოახდინეს თავიანთი ქვეყნების სამრეწველო მოდერნიზაცია). ისინი მუშაობენ როგორც რევოლუციონერებთან, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ თავად რევოლუციის ნიჰილისტური მომენტები, ისე რეაქციონერებთან. გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე ცდილობს, ეს უკანასკნელები გამოიყენოს ისე, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიონ რევოლუციის ნებისმიერ განვითარებას – მათ შორის ისეთსაც, რომელსაც მივყავართ კონტრრევოლუციაში გადაზრდასთან.

ასე უჭერდა მხარს ინგლისი ფრანგ როიალისტებს, ანტანტა კი – რუს თეთრგვარდიელებს. ამგვარად გამოიყენეს ჰიტლერელებმა რუსი ფაშისტები და კრასნოვის სახის მონარქისტები. და ძალიან ხშირად რეაქციონერები ერთ ულელში აღმოჩნდებიან ხოლმე იმ რევოლუციონერებთან, ვინც ცდილობს რევოლუცია ნიჰილისტური გზით წაიყვანოს. აქ შეიძლება გავიხსენოთ ფრანგი იაკობინელები, რომლებიც იმავე როიალისტებთან კავშირში იბრძოდნენ თავად კონტრრევოლუციონერ ნაპოლეონის წინააღმდეგ იმავე ინგლისის ფულით. ნაკლებად დამახასიათებელი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი მაგალითი – რუსი უკიდურესად მემარჯვენე ემიგრანტების ანტისტალინიზმი, რომელიც ობიექტურად ეკვროდა ტროცკისტებისა და სხვა „მგზნებარე რევოლუციონერების“ ანტისტალინიზმს. ორივე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან თანამშრომლობას. ულტრამემარჯვენეები გერმანელების მხარეს იყვნენ, ულტრამემარცხენეები – ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლური დემოკრატიის მხარეს.

როგორც ვხედავთ, ნაციონალისტს არ შეუძლია დაუკავშიროს თავისი ბედი არც რევოლუციას, არც კონტრრევოლუციას. რევოლუციური პროცესის უკვე პირველ ეტაპზე ის უნდა ფიქრობდეს იმაზე, თუ როგორ იმოქმედოს იმ პირობებში, როდესაც ეს პროცესი გადავა თავის პოზიტიურ, კონტრრევოლუციურ ფაზაში. პატრიოტის ამოცანაა – უბიძგოს რევოლუციურ ხელისუფლებას საჭირო მიმართულებით. 20-30-იან წლებში სწორედ ასეთი ამოცანა დაუსახეს ქვეყნის პატრიოტებს ემიგრანტმა მლადოროსებმა (კავშირი „მოლოდაია როსია“, რომელიც მოგვიანებით მლადოროსის პარტიად გარდაიქმნა).

მლადოროსების აზრით, ემიგრანტების უმრავლესობამ ვერაფერი გაიგო ოქტომბრის რევოლუციისგან და მისი მომდევნო მოვლენებისგან. მათი აზრით, ოქტომბერმა, მიუხედავად მისი სუბიექტური ანტირუსული მიმართულებისა, ობიექტურად მიგვიყვანა არა მხოლოდ მატერიალიზმისა და ინტერნაციონალიზმის გამარჯვებამდე, არამედ წარმოშვა კიდეც ახალი ადამიანის ტიპი – გმირული ორიენტაციის ადამიანი, რომელიც გასაოცრად განსხვავდებოდა ძველი რუსეთის ტიპაჟთა უმრავლესობისგან, რომლებსაც არ შეეძლოთ აეთვისებინათ მთელი სირთულით მამაცობა და თავგანწირულობა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ „ახალ ადამიანს“ ორგანულად არ იზიდავს პატრიოტიზმი და სინამდვილეში არ შეესაბამება იმ ტიპს, ვის გამომუშავებასაც ცდილობდნენ ინტერნაციონალი კომისრები.

მლადოროსებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ პროცესები, რომლებიც ხდებოდა სსრ კავშირში 20-30-იან წლებში და ხელს უწყობდნენ სოვეტიზმის ეროვნულ გარდაქმნას. მლადოროსების ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი იყო „რუსეთის რწმენა“, ესე იგი რუსი ერის რწმენა გადახარშოს ბოლშევიზმი და დაძლიოს იგი შინაგანად, გამოიყენოს ყველაფერი დადებითი, რაც წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების წლებში: გმირული სტილი, მძლავრი ინდუსტრია, სამეცნიერო-ტექნიკური კადრები, აქტიური სოციალური პოლიტიკა, გეგმიანი ეკონომიკა და ა.შ.

(გაგრძელება იქნება)

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-20.

### ხელბურთი

# მეტოქეები გაირკვა



**ათწლიანი შესვენების შემდეგ ევროპულ სარბიელს უბრუნდება საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები, რომელიც წლეულს 2012 წლის კონტინენტის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში ჩაება. წილისყრამ ჩვენები B ჯგუფში გაანაწილა, სადაც მეტოქეებად ლატვია, ფინეთი და იტალია ეყოლება.**

ჯერ არ არის ცნობილი, ტურნირი ერთ წრედ გაიმართება რომელიმე ქვეყანაში თუ მიმოსვლით. როგორც ირკვევა, შეჯიბრების ერთ წრედ მოწყობის შემთხვევაში საქართველოს მასპინძლობის პრიორიტეტული უფლება ჰქონია (ცხადია, სამივე ქვეყანა თუ დათანხმდება), რაც მომდევნო ეტაპზე გასასვლელად ჩვენს შანსებს საგრძნობლად გაზრდის.

### ძიუდო

# დაბრუნება

**სასტუმროს კიბეზე ჩაირბინა თუ არა, ფოიეს ფანჯარასთან მოწყენით მდგარი ილია ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური) შენიშნა. მიახლოებისთანავე მხარზე ხელი დაჰკრა – ჯარჯი, წუხელ სიზმარში ვნახე, კვარცხლბეკზე ვიდექით, ოღონდ მე უფრო შემაღლებული ადგილი მეკავაო, გაეხუმრა. ჯარჯის გაელიმა. ვნახოთ, ვნახოთო, უთხრა.**



სიზმარი აუხდა რიონისპირელ ფალავანს. ქართველთა გზები ფინალში გადაიკვეთა. მანამდე კი რიო-დე-ჟანეიროში ცირეკიძემ პოლონელი ეროპის პრიზიორი კშიშტოფ ვეგლარი, კორეელი სუნ ჰო ჩოი, მონღოლი ერდენე არიენი, აზერბაიჯანელი ელხან მამადოვი და იტალიელი როზერტო მელნი ჩამოიცილა გზიდან. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ზვიადაურიც სძლია და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ეს იყო 2007 წელს. მომდევნო წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ისახელა თავი. აბა, ვის დაავიწყდება ქართველის მარწუხებში მომწყვდეული რუსი ივან პერშინი: ტატამზე ბეჭებზე გაკრულ ჩრდილოელ მეზობელს იმ მდგომარეობიდან თავის დაღწევა არც უცდია. მაინც ვერ შეძლებდა, რადგან მაშინ მას გულზე მისი თანამოძმეებისგან ომის ქარცეცხლში გახვეული საქართველო აწვა. პერშინმა ერთადერთი ის მოახერხა, რომ თავზე წაიშინა ხელები და თვალები ცრემლით აევსო.. ირაკლიმ შემდეგ სხვა მეტოქეებსაც სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ერთადერთი ძიუდოისტი გახდა საქართველოში, ვინც ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა.

უმთავრესს მიაღწია და თითქოს მოტივაციაც დაკარგა. 2009 წელს, ფაქტობრივად, არსად უასპარეზია. წლის მიწურულს ისიც კი თქვა, აქტიური სპორტიდან მივდივარო. ჯანმაგარი ფალავნის ასეთმა განცხადებამ გული დაწყვიტა გულშემატკივრებს, სპეციალისტებს, რადგან ცირეკიძეს საქართველოსთვის ჯერ კიდევ უამრავი სიხარულის მოტანა შეეძლო. მისი ინტერვიუებიდან აშკარად ჩანდა, რომ თავადაც არ იყო საბოლოოდ დარწმუნებული, გადაწყვეტილება შეუვალი თუ იქნებოდა. მართლაც, ოჯახის წევრების, მეგობრების თოვნამ გაჭრა – ირაკლი ტატამს დაუბრუნდა და მონდომებით დაიწყო მზადება პარიზის მსოფლიოს თასისთვის, რომელიც 6 და 7 თებერვალს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

### მუნდიალ-2010

# კეთილი ნების ბურთები

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ იოჰანესბურგში გამართულ აქციაში მონაწილეობდნენ პოლიტიკოსები, მსახიობები, ცნობილი სპორტსმენები.** ვარსკვლავებმაც და უბრალო გულშემატკივრებმაც თავიანთი ავტოგრაფები და სურვილები დატოვეს 32 უზარმაზარ ბურთზე. 4-მეტრიანი დიამეტრის ბურთები გაემგზავრება სამხრეთ აფრიკის ქალაქებმა და ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნებში. მაისში კი ქვეყნებისა და კონტინენტების შემოვლის შემდეგ ეს მოგზაურობა ისევ იოჰანესბურგში დამთავრდება.

### ფეხბურთი

**ხომ გსმენიათ, ჯიგრიანი ფეხბურთელიო.**

**სწორედ ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ ალექსანდრე გოგობერიშვილი, რომელიც, მართალია, 32 წლისაა, მაგრამ ისევ ძველებურად ერჩის მუხლი და კარიერის დასრულებაზე არც ფიქრობს.**

**– ვგრძნობ, რომ არც დატვირთვების გაძლება მიჭირს და არც ჩვეულ დონეზე თამაში, – მითხრა გუშინ, როცა რედაქციაში შევხვდით ერთმანეთს და პერსპექტივაზე ჩამოვუგდე სიტყვა.**

**ალეკო უკვე მეექვსე სეზონია, აზერბაიჯანში ასპარეზობს, ამიტომ, ვფიქრობ, დაგაინტერესებთ მეზობელი სახელმწიფოდან მის მიერ დანახული თანამედროვე ქართული ფეხბურთი.**

# მუხლი ძველებურად ერჩის



– უპირველესად, მოდით, ისეთ ფუნდამენტურ თემას შევეხოთ, როგორიც ბავშვთა ფეხბურთია. მიმაჩნია, რომ მოზარდთა აღზრდა ისეთ მწვრთნელებს უნდა მიენდოთ, ვისაც თავადაც უთამაშია და ესმის ფეხბურთი. აგრეთვე, უნდა მოიხსნას გადასახადები და დაფინანსდეს საფეხბურთო სკოლები. დამეთანხმები, იმის გამო, რომ მშობელთა უმეტესობა მატერიალურ ხელმოკლეობას განიცდის, ბევრი ნორჩი ტალანტი იკარგება.

**– კასპიისპირეთში გამგზავრებამდე წამყვანი ქართული კლუბების სპორტულ ღირსებას იცავდი, ხოლო 2004 წელს, როცა თბილისის „დინამომ“ XXI საუკუნეში უდიდეს საერთაშორისო წარმატებას მიაღწია და დსთ-ს თასი მოიპოვა, ივო შუშაკის გუნდის საყრდენი ნახევარმცველი იყავი. მას შემდეგ წინ წავიდა ქართული ფეხბურთი თუ უკან?**

– ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ მაშინდელთან შედარებით რეგრესი განვიცადეთ. საილუსტრაციოდ კლუბებს დავასახელებ, რომელთაგან თითქმის ყველას ჰყავდა ჩამოყალიბებული ლიდერები, ახლა კი უმეტესობაში გამოუცდელ ახალგაზრდებს დაეკისრათ პარტნიორთა გაძღოლა, რასაც, ბუნებრივია, არცთუ წარმატებით ართმევენ თავს.

**– ალბათ, აზერბაიჯანული ფეხბურთის აწმყოზეც შეგექმნებოდა ნათელი წარმოდგენა.**

– რასაკვირველია. მიმაჩნია, რომ ისინი ჩვენზე წინ წავიდნენ, რაც სოლიდური ინვესტიციებისა და ლეგიონერთა დამსახურებაა, თუმცა ევროპულ დონემდე ჯერ კიდევ შორია.

**– რადგან იქაური კლუბები ვახსენეთ, იქნებ მკითხველს შენი დღევანდელობაც გავაცნოთ.**

– სიამოვნებით. მოგეხსენება, ჩემი უკანასკნელი კლუბი ბაქოს „ოლიმპიკი“ იყო, რომელმაც ოთხთვიანი დავალიანება უნდა დამიფაროს. ამჟამად ჩემი აგენტი დედაქალაქის „სტანდარდთან“ კონტრაქტზე მუშაობს და ერთ მომენტში საქმე ლამის ხელმოწერამდე იყო მიყვანილი, მაგრამ გარკვეული ფინანსური პრობლემების გამო საკითხი აქამდე ღიადაა დარჩენილი. შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ კლუბშია ყველაზე მსუყედ წარმოდგენილი ქართული ლეგიონი – კერძოდ, ახლახან დავით მუჯირი ჩაირიცხა, რომელსაც სერგო ორბელაძე, დავით ჭიჭეიშვილი და ლევან სილაგაძე დახვდნენ, ხოლო უწინ აღნიშნულ გუნდს კახი ცხადაძე ავარჯიშებდა. სხვათა შორის, ერთ დროს საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა აზერბაიჯანის მოქალაქეობის მიღებისა და იქაურ ეროვნული ნაკრების მაისურით თამაშის საკითხი, რომლის ოთხჯერ მორგება მოვასწარი კიდეც, მაგრამ...

**– სხვების არ ვიცი, მაგრამ მე და, დარწმუნებული ვარ, მრავალ გულშემატკივარს აქამდე ებადება კითხვა – რატომ არ მოგეცა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრების შანსი?**

– ამ კითხვის ადრესატები სხვები არიან. ჩემი ამპლუის მოთამაშეები, ახლანდელისგან განსხვავებით, იმდენად ბევრნი და ძლიერნი იყვნენ, რომ მათთან შესაძლო კონკურენციამაც ითამაშა გადამწყვეტი როლი. გასათვალისწინებელია სუბიექტური ფაქტორიც. მაგალითად, მსოფლიო დონის სპეციალისტი კუპერი ბოლომდე ვერ ჩაწვდა ქართულ მენტალიტეტს.

**– და ბოლოს, ვინ მიგაჩნიათ დამდეგი „მუნდიალის“ ფავორიტად?**

– ესპანეთი და ბრაზილია.

**ესაუბრა
გია პლატონიშვილი**

### ინტერნეტიდან

## იანვრის სიმბოლური ნაკრები

**ევროპის სპორტული გამოცემების ასოციაციამ (ESM) ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატების იანვრის შედეგების მიხედვით შეადგინა ტრადიციული ნაკრები.**

აი, ვინ მოხვდნენ იანვრის ნაკრებში: ჟულიუ ცეზარი („ინტერი“ – 4 ხმა), დანიელ ალვესი („ბარსელონა“ – 7), ევრა („მანჩესტერ იუნაიტედი“ – 2), ჰიუპია („ბაიერი“ – 2), ფაბრეგასი („არსენალი“ – 7), ლემპარდი („ჩელსი“ – 6), კროსი („ბაიერი“ – 4), სნაიდერი („ინტერი“ – 4), რონალდინიუ („მილანი“ – 5), რუნი („მანჩესტერ იუნაიტედი“ – 8), მესი („ბარსელონა“ – 8).

## დაღუპვას გადაურჩნენ

**კონტინენტალური ჰოკეის ლიგის საუკეთესო მოთამაშეები, რომლებიც მინსკში მიემგზავრებოდნენ ჰოკეის ვარსკვლავების მატჩზე, კინაღამ ავიაკატასტროფაში მოხვდნენ.**

როგორც იტყობინებიან, ვარსკვლავთმატჩის მონაწილენი ბელორუსიის დედაქალაქში ჩაფრინდნენ ჩარტერული რეისით „მოსკოვი – მინსკი“. აეროპორტში დაჯდომის წინ თვითმფრინავის ენ-204 ეკიპაჟმა დისპეტჩერს შეატყობინა, რომ მოულოდნელად გაჩნდა ძრავის ძლიერი ვიბრაცია, რის გამო ძრავა გამორთეს, ამის შედეგად თვითმფრინავი მხოლოდ ერთი ძრავით დაჯდა მინსკის აეროპორტში.

რათა ჰოკეისტებს ბელორუსიის დედაქალაქი დროზე დაეტოვებინათ, რუსეთიდან სხვა თვითმფრინავი გააგზავნეს. ჰოკეისტები იმავე ღამეს გაფრინდნენ მოსკოვში. დაზიანებული თვითმფრინავი კი მინსკში დარჩა, მის შესაკეთებლად სპეციალისტები რუსეთიდან ჩავლენ.

კონტინენტალური ჰოკეის ლიგის ვარსკვლავების მატჩში ლეგიონერებისგან შემდგარმა „იაგრის გუნდმა“ მოუგო რუსულ „პიაშინის გუნდს“ ანგარიშით 11:8.

## სახელი ადვილი ასარჩევი როდია

**ალბათ გახსოვთ, ნათქვამია, ბავშვი არ გაჩენილიყო და აზრამს არქმევდნენო. რაღაც აემგვარი ემართებათ ავტოსაჯინიბო „რენოს“ ყოფილ ხელმძღვანელს ფლავიო ბრიატორეს და მის ლამაზმან მეუღლეს, ცნობილ იტალიელ მოდელს ელისაბედ გრიგორაჩს, ხუთი თვის ფეხმძიმე რომაა. ის ახლახან გადაიღეს პიკანტურ ფოტოსესიაში იტალიური ჟურნალისთვის სრდ.**

როგორც 29 წლის ელისაბედმა ჟურნალისტებს განუცხადა, ახლა ცოლ-ქმარი ეძებს სახელს მომავალი ბავშვისთვის – ჩვენ ხშირად ვდავობთ პატარის მომავალი სახელისთვის. ფლავიოს უნდა, რომ მომავალ ვაჟიშვილს ფალკო დავარქვათ, მაგრამ ხვალ, შესაძლოა, ყველაფე;რი შეიცვალოს. მე არ ვიცი, თუ რა მოუვა იმას თავში“.



ფლავიო და ელიზა ავადმყოფობამ დააახლოვა. თავის დროზე ბრიატორემ კიბო დასძლია. „ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ძალზე დაგვაახლოვა. ჩვენ დღე და ღამე მის გვერდით ვიყავი, და ჩვენ მივხვდით, რომ უერთმანეთოდ ყოფნა აღარ შეგვეძლო“, – ჯერ კიდევ ადრე განაცხადა გრგიგორაჩიმ.

### მძლეოსნობა

# ათწლეულის საუკეთესონი

**ავტორიტეტულმა ამერიკულმა ჟურნალმა ეკფსლ აშუდვ ტუცთ გამოაქვეყნა ბოლო ათწლეული (2000-2009) მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნობის ათეულების სია. ქალებში პირველ ადგილზეა ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა, ხოლო მამაკაცებს შორის – გრძელ მანძილებზე მორბენალი, ეთიოპიელი კენენისა ბეკელე.**

აი, როგორ გამოიყურება ეს ათეულები: ქალები – ელენა ისინბაევა (რუსეთი, ჭოკით ხტომა), ტირუნეშ დიბაბე (ეთიოპია, გრძელი დისტანციები), კაროლინა კლიუფტი (შვედეთი, მრავალჭიდი), ტატიანა ლებედევა (რუსეთი, ხტომები), სანია რიჩარდსი (აშშ, გრძელი სპრინტი), ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი (იამაიკა, სპრინტი), ელისონ ფელიქსი (აშშ, სპრინტი), ორლეიდის მენენდესი (კუბა, შუბი) იუპსი მორენო (კუბა, ურო), ვალერი ვილი (ახალი ზელანდია, ბირთვი).

ვაჟები: კენენისა ბეკელეს (ეთიოპია, გრძელი დისტანციები), ვერგილიუს ალეკინა (ლიტვა, ბადრო), ხიშამ ელ გერუჯი (მაროკო, საშუალო და გრძელი დისტანციები), უსეინ ბოლტი (იამაიკა, სპრინტი), რობერტ კორჟენიოვსკი (პოლონეთი, სიარული), ჯერეიი უორინესი (აშშ, 400 მ.), დუაიტ ფილიპსი (აშშ, სიგრძეზე ხტომა), ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია, შუბი), რომან შებრლე (ჩეხეთი, ათჭიდი), საიფ შაჰინი (კატარი, სტიპლ-ჩეიზი).



## მკითხველის ლექსი

# ძახილი

მაღალი მთის ბნელ ნაპრალში უჩვეულო ხმა გაისმა,
ღამე მთვარეს გაშორდა და გაიღიმა დღის აისმა,
ბუნებამაც გაიღვიძა შემპარავად, თითქოს მალვით,
თან ყოველივე მოიცვა და აფეთქდა მთელი ძალით.

მიუვალ ტყეს, მიწის კიდეს, წყალი ჩანდა მოწანწკარე,
ჯერ უჩუმრად მომდინარე, სულ მალე კი მოჩანჩქარე,
ეს ბუნების ნაწილია და სიცოცხლის დაძახილი,
თვით სიცოცხლისვე მთესველი და კაცთ მოდგმის ჩაძახილი.

ამ ნაკადულს, სავალ გზაზე, სხვა წყარონიც შეუერთდა,
და ამ ყველას ნიშან-წყალი იმ სულ პირველს გაუერთდა.
ეს ნაკადი, ნელი-ნელა, დიდ მდინარედ გადაიქცა,
შემდეგ ძალას მოუმატა, ძალზე სწრაფად წინ გაიქცა.

წყალმა ძახილი დაიწყო, არაკრაკდა, ახმიანდა,
სიხალისე დასადგურდა და ბუნებაც გახმიანდა,
ის ყველას ესაუბრება, თითქოს თავისი ენითა,
გულს უშლის, ეალერსება და ეგებება ძღვენითა.

საამო მოსასმენია მისი სიმღერა, ღუღუნი,
წკრიალა, გულში ჩამწვდომი და ხანაც კიდევ დუდუნი,
ქვიდან ქვაზე ხტუნვა-ხტუნვით ავლენს ახალ ჟღერადობებს,
ქმნის საოცარ ჰარმონიას და მუსიკით ფერადოვნებს.

სადაც მისი ძალა მოხვდა, მოიხატა მინდორ-ველი,
თაკარა მზის სხივებიც კი აღარა ჩანს ისე მწველი,
ნაირფერად მოელვარე, ლივლივებს და მაღლა იწევს,
სილამაზედ აზვირთული, მთის მწვერვალებს აქეთ იწვევს.

წყალო! სიცოცხლის დედა ხარ და ჩვენი ყოფის სათავე,
შენით იღვიძებს ყოველი როგორც გიპკურებს იმთავე,
დიდი ტვირთი გაქვს ნაკისრი და უნდა ზიდო მშვენითა,
ჩვენთან იქნები მუდმივად და ვერც გავძლებით შენითა.

წყალის, მდინარის ბუნება რთულია, ამოუცნობი,
მშვიდი იქნება თუ შლეგი წინასწარ არის უცნობი,
თავის გრძელ გზაზე ყოველთვის ბევრი ხიფათი ეყრება,
მისით შექმნილი შიში კი ვერც ვერასოდეს ვერ ქრება.

ხან ნიაღვარის, ჩანჩქერის და ღვარცოფების მქმნელია,
რომლის წინაშეც აღდგომა საშინელი და ძნელია,
თვით აკანონებს თავის წესს, ასევე დროს და მანძილსა,
არასდროს არა ჩერდება, არ მიეცემა არც ძილსა.

წყალია, მაგრამ ძლიერად აკაშკაშებს და ასხივებს,
გულს იფრქვევს, უკან გამოსცემს წყლად გარდასახულ
მზის სხივებს,
წყალო! შენი ხმა—ძახილი, გულს სალბუნად რომ გვედება,
იყავი მუდამ ასეთი, სიცოცხლე შენით მშვენდება.

**ომარ ძეშელაშვილი**

## დავა

# აჟიოტაჟი არ წყდება

**ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ირგვლივ აჟიოტაჟი გრძელდება. ყველაფერი კი მისი ქონების მემკვიდრეობას ეხება. ჯერ იყო და თალლითმა ჯოზეფ ქეიმ საქართველოს ხელისუფლების ხელდასხმით სასამართლოში წარადგინა ყალბი დოკუმენტაცია მემკვიდრეობის შესახებ. შემდეგ მან თავისი ვითომ წილი ქონებისა მიჰყიდა არაბ ბიზნესმენებს.** საინტერესოა ამ უკანასკნელთა წარმომავლობა, საქმიანობა და რეპუტაცია ბიზნეს-წრეებში, რადგან არც ერთი შორსმჭვრეტელი და თავმოყვარე საქმოსანი არ შეისყიდის ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფ უძრავ ქონებას. შემდეგ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები ძორებივით დაეცნენ ცირკს, ფუნიკულიორს და ა. შ.

ამ დღეებში რუსულმა გაზეთმა „კომერსანტმა“ ბრიტანულ მასმედიაზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბრიტანულმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის თხოვნა ბადრი პატარკაციშვილის ქონების გარკვეული წილის დაყადაღების შესახებ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მოსკოვში მცხოვრებ ოლგა საფონოვას წილს. მას გარდაცვლილთან შვილი ჰყავდა, ბიჭი 14 წლისაა.

ბერეზოვსკის ეს ნაბიჯი სიურპრიზი აღმოჩნდა თვით პატარკაციშვილების ოჯახისთვისაც კი. ბიზნესმენის დამ ნანა პატარკაციშვილმა „კომერსანტის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ მისი რძალი ინა გუდავაძე ამჟამად ლონდონში იმყოფება და წარმოდგენა არა აქვს გავრცელებულ ინფორმაციაზე.

**ზაზა ბილიხოძე**

## სანთელი

# ილია მიქაძე

ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საინჟინრო მეცნიერებისა და განათლების თვალსაჩინო მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია მიქაძე.

დაიბადა 1928 წლის 7 იანვარს გალის რაიონის სოფელ აჩიგვარაში. 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრაზე. 1951 წლიდან ი. მიქაძემ სწავლა განაგრძო მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1952 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. შემდეგ კი დაუბრუნდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და 1953-1956 წლებში ზოგადი და თეორიული ენერგეტიკის კათედრაზე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.



1956 წელს ილია მიქაძე სამუშაოდ გადადის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც იღვაწა 25 წლის მანძილზე და გაიარა გზა უფროსი ინჟინრიდან ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ გენერალური დირექტორის მაღალ თანამდებობამდე. ი. მიქაძე კანონიერად ითვლება საქართველოში გამოთვლითი ტექნიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა პირველი ციფრული და ანალოგური ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, ბაზური კომპლექსები და სისტემები, რასაც ხელსაწყოთმშენებლობის განვითარებისა და ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ი. მიქაძის ხელმძღვანელობით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შედეგები დაინერგა რუსეთის, ირანის, უკრაინის, ფინეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, ბულგარეთის და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების საწარმოების და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში.

ილია მიქაძის მაღალ პროფესიონალურ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ათეული წლების მანძილზე იგი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს მთავარი კონსტრუქტორი — სპეციალიზებული გამოთვლითი მანქანების და ლითონმჭრელი ჩარხებისათვის პროგრამული მართვის მოწყობილობათა დამუშავების დარგში.

1979 წელს მეცნიერთა და კონსტრუქტორთა ჯგუფთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს „რადიანს“, სადაც რამდენიმე წელი ნაყოფიერად იმუშავა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და მთავარ ინჟინრად.

1983 წელს მისი ხელმძღვანელობით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე დაარსდა ტექნოლოგიური პროცესებისა და წარმოების ავტომატიზაციის კათედრა, რომელსაც განაგებდა 1992 წლამდე.

1991 წლის იანვარში ი. მიქაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმავე წლის ოქტომბერში მიენიჭა პროფესორის წოდება. მის მიერ ჩატარებული კვლევები განსაკუთრებული სიღრმითა და ორიგინალობით გამოირჩევა, რაც 200-ზე მეტ ნაშრომშია ასახული. იგი 15 გამოგონების ავტორია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე ი. მიქაძის მიერ გამოქვეყნებული შრომები, რომლებიც წარმოადგენენ სისტემური ანალიზის, მასობრივი მომსახურების, აღდგენისა და საიმედოობის თეორიის შემდგომ განვითარებას და ქმნიან მყარ მეცნიერულ საფუძველს მაღალწარმადობის და მტყუნებათმდგრადი ტექნიკური სისტემების შესაქმნელად. ამ შრომების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია აშშ-ს, რუსეთის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების პრესტიჟულ სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში.

ფასდაუდებელია პროფესორ ილია მიქაძის ღვაწლი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 35 საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაცია. იგი მონაწილეობდა მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მუშაობაში, იყო ინგლის-სსრკ სამეცნიერო თანამშრომლობის მუშა ჯგუფის წევრი გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების შექმნის დარგში.

მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეში პროფესორ ი. მიქაძის თვალსაჩინო ღვაწლი აღნიშნული იქნა მრავალი ორდენით და მედლით. პროფესორი ი. მიქაძე იყო აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის სახელობის პრემიის ლაურეატი, რაც მის დიდ მეცნიერულ აღიარებაზე მეტყველებს. 1988-91 წლებში მაღალი რეიტინგის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით პროფესორი ი. მიქაძე ჯორჯ სოროსის გრანტის მფლობელი გახდა. 1997 წელს იგი დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

ბატონი ილია აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს საინჟინრო აკადემიის საქმიანობაში, როგორც მისი ნამდვილი წევრი. იგი ქართული საინჟინრო მეცნიერების ჭეშმარიტად სახელოვანი წარმომადგენელი იყო. მან თავისი მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებებით საზოგადოების დიდი პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა. არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა და ბაბუა გახლდათ ბატონი ილია. იგი სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული ენერგიითა და შემართებით აგრძელებდა საქმიანობას, როგორც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სრული პროფესორი.

პროფესორ ილია მიქაძის დაბადებიდან მე-80 წლისთავს მიეძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინფორმატიკული ტექნოლოგიები-2008“.

სახელოვანი მამულიშვილის ილია მიქაძის მიერ განვლილი ცხოვრების გზა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო და იღვაწო ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. მისი სახელი დიდხანს დარჩება მადლიერი შთამომავლების მეხსიერებაში.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;**
**საქართველოს საინჟინრო აკადემია.**

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შპს „ახალი ქსელების“ გენერალური დირექტორის თანაშემწის ქალბატონ სვეტა ელბაქიძის დედის

ტატიანა ბორისოვა-ელბაქიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

არჩილ ვაშაკიძე, გიორგი აგლაძე, დემურ ბუაძე, ნოდარ გაბუნია, შალვა ნაჭყებია, თამაზ ოქროშვილი, ნოდარ ჩიტიშვილი დიდი გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

რეზო დევიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ინფორმაცია

### აჭარაში სადაზღვევო პაკეტთან დაკავშირებით სიახლეებია

**ჯანდაცვის** სისტემაში სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტთან დაკავშირებით სიახლეებია. აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები ამ მხრივ რეგიონშიც განხორციელდება, 22 ათასამდე გაიზრდება ბენეფიციართა რიცხვი, ასევე სახელმწიფოს მიერ 100 ათასზე მეტი პირი სოციალურ დახმარებას მიიღებს. სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტით პედაგოგებიც ისარგებლებენ. ახალი პროგრამის თანახმად, 4 დაავადებაზე პირველადი მოხმარების მედიკამენტებს სახელმწიფო 50-პროცენტიანი თანადაფინანსებით გადაიხდის. საუბარია იმაზეც რომ შესაძლოა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა სამი წლით გაგრძელდეს.

ახალი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამის ფარგლებში შესაძლოა „100 საავადმყოფოს“ პროგრამამ მცირედი სახეცვლილება განიცადოს. კერძოდ, სადაზღვევო კომპანიები რაიონებში მცირე კლინიკებს ააშენებენ. იმის გამო რომ ბლოკ ჯორჯიამ საავადმყოფოებთან დაკავშირებით აღებული ვალდებულება ვერ შეასრულა, აღნიშნულ კომპანიას, საქართველოს მთავრობასა და სადაზღვევო კომპანიებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს. რათა ვალდებულებების საბოლოო ვარიანტი ჩამოყალიბდეს.

### აფხაზები ლექტორებს რუსეთიდან იწვევენ

**სეპარატისტული** აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა სანქტ-პეტერბურგში მდებარე ა.ი. გერცენის სახელობის რუსეთის სახელმწიფო პედაგოგიკის ინტიტუტთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. განცხადება ამის შესახებ სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალეკო გვარამიამ გააკეთა.

— იმედი გვაქვს დახმარებისა მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, ასევე ასტრონომიაში სპეციალისტების მომზადებაში. შესაძლებელია სანქტ-პეტერბურგელი პედაგოგები აქ ჩამოვლენ და აქ წაიკითხავენ ლექციების კურსს ან ჩვენი სტუდენტები ისწავლიან იქ,— განაცხადა გვარამიამ.

ამას გარდა მან ასევე ხელი მოაწერა მეორე ხელშეკრულებას თანამშრომლობის შესახებ და ეს შეთანხმება მოსკოვის ეკონომიკის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გააფორმა.

### ალაზნის სარწყავ არხში მამაკაცის გვამი იპოვეს

**გურჯაანის** რაიონის სოფელ კალაურში, ალაზნის სარწყავ არხში მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს შს გურჯაანის სამმართველოში განუცხადეს, გვამი გურჯაანის პროზექტურაშია გადასვენებული. საქმეს შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო იძიებს.

### მკვლელობა გურჯაანში

**მკვლელობა** მოხდა გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს შს კახეთის სამხარეო მთავარ სამმართველოში განუცხადეს, ურთიერთშელაპარაკების შედეგად გოჩა ზარდიაშვილმა მალხაზ მამისაშვილს დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას შს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აწარმოებს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი გოჩა ზარდიაშვილი დაკავებულია.

ХО-ЭОБ-ЭБО

## ყველაფერი ყველაფერზე

### „ჩვენ, მხატვრები იმასვე ვბედავთ, რასაც პოეტები და ჭკუადაკარგულნი“



პაოლო კალიარი, რომელიც ტიციანსა და ტინტორეტოსთან ერთად ვენეციური სამხატვრო სკოლის ერთ-ერთ სიამაყედ ითვლება, ისტორიაში შევიდა ვერონეზეს (ვერონელისძ სახელწოდებით.

უზარმაზარი სახელის მიუხედავად ვერონეზეს ინკვიზიცია გადაემტერა. განსაკუთრებით არ მოეწონათ სურათი ბიბლიურ სიუჟეტზე, რომელსაც „ნადიმი ლევის სახლში“ ერქვა. აქ ასახული მხიარულება და, საერთოდ, ცხოვრებით ტკბობა, რაც ინკვიზიციამ სრულიად უადგილოდ და შეუფერებლად ჩათვალა. მხატვარი დაკითხვაზე გამოიძახეს და უთხრეს – აეხსნა, რატომ ასახა ბიბლიურ სცენაში ვიღაც ტაკიმასხრები, მთვრალი, გალეშილი გერმანელები, ქონდრისკაცები და სხვადასხვა სისულელეები.

ვერონეზემ ძალზე ოსტატურად დაიცვა თავი და თქვა, რომ შემოქმედს ღმერთმა თავისუფლება მიანიჭა; „ჩვენ მხატვრები იგივეს ვხედავთ, რასაც პოეტები და ჭკუადაკარგულები“.

### იბადება რაღაც, „ილიადაზე“ უფრო დიდი!

**ასეთი სიტყვებით მიესალმა რომაელი ელეგიური პოეტი სექსტუს პროპერციუსი ვერგილიუსის „ენეიდას“ გამოქვეყნებას.**

საერთოდ, „ილიადასთან“, როგორც განსაკუთრებული ღირსების შედევრთან შედარება, გასაგებია, მეტად იშვიათად ხდებოდა. ამას უდიდესი მწერლებიც კი ვერ ბედავდნენ. აი, ლევ ტოლსტოიმ მაინც გაბედა და თავის „ომსა და მშვიდობაზე“ თქვა: „ყალბი მოკრძალების გარეშე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს მეორე „ილიადაა“.

### „მე ცოცხლებს ვებრძვი, მკვდრებს კი არა“

**ეს სიტყვები მემატიანეებმა იმპერატორ კარლ V-ეს მიაწერეს, როცა ქალაქ ვიტენბერგის აღების შემდეგ მისმა ჯარისკაცებმა საფლავიდან ამოთხარეს და ხეზე ჩამოჰკიდეს კათოლიკეთათვის ესოდენ საძულველი მარტინ ლუთერის გვამი.**

სინამდვილეში კი ფრაზა ძველი დროიდან არის ცნობილი. გადმოცემის თანახმად, სწორედ ასე უთხრა განთქმულმა კართაგენელმა სარდალმა ჰამილკარმა (დიდი ჰანიბალის მამამძ რომაელებს, როცა დამარცხებულებმა ითხოვეს თავიანთი დაღუპული ამხანაგების დაკრძალვის ნებართვა.

### „რაც უფრო ხშირია ბალახი, მით უფრო კარგი გასათიბია“

**თუ რამდენიმე საუკუნის მანძილზე რომაელები გერმანელებს უყურებდნენ, როგორც ველურ და ჩამორჩენილ ხალხს, რომელიც დიდძალი რაოდენობით ლუდს ხარშავს, უზომოდ თვრება და არაფერი კარგის გაკეთება არ შეუძლია, შემდეგში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. რომაელები კი აღარ უტევდნენ ჩრდილოეთით, არამედ თვით „უკვდავი ქალაქი“ აღმოჩნდა დარტყმის ქვეშ.**

409 წელს გერმანული ტომის ვესტგოთების ბელადმა ალარიხმა რომს ალყა შემოარტყა და უსიტყვო კაპიტულაცია მოსთხოვა. რომაელები კი ყოჩაღობდნენ, ქალაქს ერთმილიონიანი მოსახლეობა ჰყავსო, რომელიც თითქოს კარგად დაიცავდა თავს, მაგრამ ალარიხი არ მოტყუვდა: „რაც უფრო ხშირია ბალახი, მით უფრო კარგი გასათიბია“. ასეც მოხდა. 410 წლის აგვისტოში რომში მყოფმა მონებმა, რომელთა ერთი ნა-



წილი სწორედ რომ გერმანული წარმოშობის იყო, უღალატა თავის ბატონებს და ალარიხს ქალაქის კარები გაუღო. „მარადიული ქალაქი“ დაეცა და იგი ბარბაროსმა გერმანელებმა სასტიკად ააოხრეს.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დღის კალენდარი — 3 თებერვალი

**ხსენება ღირსი მაქსიმე აღმსარებელისა(662ძ; მოწამე ნეოფიტესი (303-305ძ; მოწამე ევგენისა; კანდიდესი, ვალერიანესი და აკვილასი, მოწამე აგნია ქალწულისა (დაახლ.304ძ; მოწამე ანასტასისა (662ძ; ღირსი მაქსიმე ბერძენისა(1556ძ. ღირსისა ზოსიმესი, სირაკუზელი ეპისკოპოსისა; ღირსისა აპოლონ ეგვიპტელისა; ოთხთა ტვირელ მოწამეთა.**



**ამოდის 07.11**
**ჩადის 17.19**



**ამოდის 22.47**
**ჩადის 09.04**

### დაიბადნენ:

**1809 – მენდელსონ-ბართოლდ ფელიქსი,** გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, ორგანისტი და პიანისტი.
**1847 – ალექსანდრ ბელი,** ტელეფონის ერთ-ერთი გამომგონებელი.
**1870 – ბესარიონ ქებურია**, პირველი ქართველი მფრინავი. გარდაიცვალა 1958 წელს.
**1874 – ჰერტრუდა სტაინი**, ამერიკელი მწერალი ქალი.
**1915 – ბორის პაიჭაძე,** ცნობილი ფეხბურთელი.

### გარდაიცვალნენ:

**1468 – იოჰან ჰუტენბერგი,** წიგნის ბეჭდვის გერმანელი გამომგონებელი.
**1924 – თომას ვუდრო ვილსონი,** აშშ 28-ე პრეზიდენტი, დაიბადა 1856 წელს.

### მოვლენები:

**1913** – აშშ კონსტიტუციაში შეიტანეს მე-16 შესწორება, რომლის მიხედვითაც შემოიღეს შემოსავლის დაბეგვრა.
**1919** – პარიზში გაიმართა ერთა ლიგის პირველი სხდომა.
**1994** – საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ.
**2002** – მსოფლიოს უხუცეს ადამიანად ცნეს 112 წლის იაპონელი მამაკაცი იუკიჩი ჩუგანცი და ამ ტიტულით შეიტანეს გინესის რეკორდების წიგნში.

**მელიანიუსი**

„ოჯახის მკურნალი“
ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა
რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.
www.alashvili.com

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7412 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4201 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7626 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7277 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.6224 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1670 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1768 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1669 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5505 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 – +11 |
| ქუთაისი. | +10 – +18 |
| ბათუმი. | +13 – +15 |
| ზუგდიდი. | +13 – +19 |
| თელავი. | +2 – +9 |

## კადრი



## ანეკდოტები

როდესაც მამაკაცი ქალს ეუბნება, რომ იგი ყველაზე ლამაზი, კეთილი და ჭკვიანია, იგი ამას იმდენად მას კი არ ეუბნება, რამდენადაც თავს ირწმუნებს ამაში.

* * *

თუ შეცდებით და ქალის ხელს ითხოვთ, მერე მთელი ცხოვრება იგრძნობთ ამ ხელს თქვენს ჯიბეში.

* * *

– შენ იცი, ჯემალი სინამდვილეში სადაური ყოფილა?
– რას ამბობ... არ გადამრიო!..



* * *

– მაგარი სარეცხი მანქანა მაქვს, – ეტრაბახება მაკაცი მიხოს, – გადასარევად რეცხავს, წურავს და აშრობს. „ვესტელი“ ჰქვია.
– ჩემი ჯობია, აუთოებს კიდეც...
– შენსას რა ჰქვია?
– მარო...

* * *

– ბიკენტიჩ, რომელ პარტიას მისცემ ხმას არჩევნებში?
– რა თქმა უნდა, შე კაცო!

* * *

– ექიმო, კუჭი მტკივა.
– გაიხადეთ.
– რატომ, ჩემი არ გჯერათ?

* * *

– მიხო, თუ არ შეჭამ ფაფას, იცოდე, გუდიან კაცს დავუძახებ!
– დედიკო, შენ რა, გგონია ის შეჭამს?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.